Illegal felling of trees and bushes is a criminal act with a material component, which implies the necessity of a material result at the time of its commission, and this means harming the legal good (for the given Article, for the environment).²⁵ The subject of the crime is a person who has reached the age of 14, the subjective side of the crime is expressed in the intention, and the commission of this crime through negligence is excluded since the Article does not have a proper clause.²⁶ The object of the crime is any tree or shrub for which a special license or permit is required to be cut, while the objective side implies an active action aimed at cutting a tree or bush, and it does not matter how it will be carried out (e.g., with axe, pickaxe, electric saw or other). A prerequisite for the qualification of the action is the confirmation of the fact of damage and the calculation of the amount of this damage. In the Criminal Code of Georgia, for the purposes of a particular chapter, the amounts of damages are regulated in the notes of the Article itself. For example, for an economic criminal Chapter, significant damage is considered when the value of an item exceeds 150 GEL and a large amount –

[ules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi](https://www.geostat.ge/ka/mod-ules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi) [Last accessed: 13.06.23].

24 Urushadze T., Loria V., Ecological Law, Tb., 1999, p. 214.

25 Turava M., Criminal Law. Overview of the General Section. With Attached Test Samples and Case Study Method, eighth edn., Tb., 2010, p. 76.

26 Criminal Code of Georgia, 1999, Art. 10, Part 4.

over 10,000 GEL.²⁷ For money laundering, an income from thirty thousand to fifty thousand GEL is considered a large amount, and income over fifty thousand GEL is considered a particularly large amount.²⁸ For tax evasion, a large amount is considered when the amount of tax to be paid exceeds one hundred thousand GEL, and especially a large amount when the amount exceeds one hundred and fifty thousand GEL.²⁹ There is no similar legal clause for the criminal Chapter against the environment. It should be noted that in 2011, with the amendments made to the Criminal Code, for Chapter purposes, the amount of significant damage is determined in accordance with the subordinate normative act of the Government of Georgia.³⁰ Moreover, in the event of a crime stipulated by Part One of Article 303 of the Civil Code, a person would not be held criminally liable. If, within 45 calendar days from the date of receipt of the claim for compensation for environmental damage, he would pay the amount due or within the same period, an agreement regarding the damage to the environment would be signed with him.³¹ This entry of the law was cancelled in 2013.³² Accordingly, the Criminal Code, for this Article, did not clarify what amount would be considered significant damage. Unauthorized felling of even one tree or bush will certainly cause some damage, but how should we determine and distinguish whether the specified damage is significant or not, that is, whether it constitutes the basis for criminal liability, and whether it is insignificant, that is, whether it represents the basis of administrative responsibility. Some authors believed that the court should decide the issue of significant damage.³³ We cannot agree with this opinion since, before the court's decision, to

initiate criminal prosecution against a person for the composition of the crime and, accordingly, for the prosecutor to issue a decision to charge the person as an accused, a document on determining/confirming the damage is decisive evidence. The burden of proof is on the accuser, as well as the duty to substantiate the admissibility of evidence of the accused's side and the inadmissibility of evidence of the defense.³⁴ Logically, the question arises: based on which document the damage caused by the illegal felling of trees and shrubs was and is being carried out today in Georgia. The mentioned subordinate normative act has been changed many times over the years.³⁵ The amount and significance of substantial environmental damage was determined by the current normative act. The value of the damage is determined by the illegal felling of woody plants and/or shrubs, which leads to the cessation of their growth and vital function. In addition, the specified action, which is manifested in the illegal cutting, uprooting, or destruction of the plant, should cause damage to the environment for 1000 GEL or more.³⁶ To determine the amount of damage, the amount of illegally felled trees and shrubs, the type of wood, its location and others are important.³⁷ If, as a result of the calculation, the amount of damage is found to be less than 1000 GEL, in such a case, the person will bear only administrative responsibility.

27 *Ibid.*, Note to Article 177.

28 *Ibid.*, Note to Article 194.

29 *Ibid.*, Note to Article 218.

30 *Ibid.*, Note to Article 291, Part 1 (edition valid until May 15, 2013).

31 *Ibid.*, Note to Article 291, Part 2 (edition valid until May 15, 2013).

32 Law of Georgia on Amendments to the Criminal Code of Georgia, 2013, No. 472-rs.

33 Lekveishvili M., Mamulashvili G., Todua N., Mumladze D., Private Part of Criminal Law, first edn., (book II), Tb., 2005, p. 42.

34 Criminal Procedure Code of Georgia, 2009, Art. 5, Part 2; Art. 33, Part 1; Art. 72, Part 3.

35 For example: in 2002-2006, there was a resolution No. 99 of the Minister of Environmental and Natural Resources Protection of Georgia on Calculation and Compensation of Damage Caused to the State Forest Fund as a Result of Illegal Forest Use; in 2006-2011 – a resolution No. 538 of the Minister of Environmental and Natural Resources Protection of Georgia on Methodology for Calculating Damage to Environment; in 2011-2014 – a resolution No. 2 of the Minister of Environmental and Natural Resources Protection of Georgia on Methodology for Determining (Calculating) Damage to Environment, and from 2014 to the present technical regulation No. 54 of Government of Georgia on Methodology for Determining (Calculating) Damage to Environment.

36 Resolution No. 54 of 2014 of the Government of Georgia on Methodology for Determining (Calculating) Damage to Environment, Art. 5, Part 6.

37 *Ibid.*, Appendix 10.

As we mentioned above, the amount of damage does not matter in cases where the person under administrative penalty commits the illegal cutting of trees and bushes again. Although the damage may not amount to 1000 GEL, a criminal case will be initiated against the person since such a legal clause exists in the disposition of the Article.

The crime under Article 303 of the Criminal Code of Georgia falls under the investigative jurisdiction of an investigator of the Ministry of Internal Affairs of Georgia.³⁸ The calculation of environmental damage is not within the investigator's competence. In a fact of illegal felling of trees and shrubs is discovered, appropriate calculations are made by the State Sub-Agency Department of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia – Department of Environmental Supervision and/or employees of the National Forestry Agency of the same ministry. A written document on the calculation of damages is attached to the criminal case as evidence and represents an important act for a specific case, which confirms the amount of damage and that this damage is significant.

The issue of compensation for damage to the environment, of course, does not change the criminal qualification of the action, but, as a rule, it is considered by the court when making the final decision on the case.

38 Order No.3 of the General Prosecutor of Georgia on Determining of the Investigative and Territorial Investigative Jurisdiction of Criminal Cases, 2019, Appendix, Paragraph No.1.

CONCLUSION

Summing up, it should be noted that the necessary circumstance of the offense of illegal felling of trees and shrubs – the calculation of damage, is carried out by a subordinate normative act approved by the government decree. Damages are calculated by an authorized person of the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia within the scope of his/her competence and in the case of referral by investigative bodies. The amount of significant environmental damage is defined as 1000 GEL or more. Accordingly, if the amount of damage is only 999 GEL or less, the criminal case and/or criminal prosecution are not initiated and/or terminated against the person. In addition, an administrative fine will be imposed on the said person. In contrast to the clauses imposed on other categories of crimes, the Criminal Code does not impose a specific amount of damage in the event of illegal felling of trees and shrubs, which often creates uncertainty among those concerned. We believe that to avoid uncertainty, the amount of damage should be clearly regulated in the Criminal Code for the Chapter and/or specific Articles of the crime against the environment.

In addition to the above, to effectively combat illegal logging and to prevent violations, it is advisable at the legislative level to impose such additional obligations for those convicted under the mentioned Article, along with the main type of punishment, such as, for example, the planting and taking care of trees in proportion to the damage caused to the environment.

BIBLIOGRAPHY:

1. Dvaladze I., Tumanishvili G., Gvenetadze N., Case Study Method in Criminal Law, Tb., 2015.
2. Urushadze T., Loria V., Ecological Law, Tb., 1999.
3. Lekveishvili M., Mamulashvili G., Todua N., Mumladze D., Private Part of Criminal Law, first edition, (book II), Tb., 2005.
4. Lekveishvili M., Todua N., Mamulashvili G., Private Part of Criminal

- Law, fifth edition, Tb., 2017.
5. Turava M., Criminal Law. Overview of the General Section. With Attached Test Samples and Case Study Method, eighth edition, Tb., 2010.
 6. Hallam J, and others, Collapse of critical Ukrainian dam sparks region-wide evacuations. Here's what we know, 2023, <<https://edition.cnn.com/2023/06/06/europe/ukraine-nova-kakhovka-dam-breach-intl-hnk/index.html>> [Last accessed: 15.06.2023].;
 7. Dinerstein E. and others, A Global Deal for Nature: Guiding principles, milestones, and targets, SCIENCE ADVANCES, 2019, Vol 5, Issue 4, <<https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.aaw2869>> [Last accessed: 12.06.23].;

Legislative Acts:

1. The Criminal Code of Georgia, 1999.
2. Code of Administrative Offenses of Georgia, 1984.
3. Law of Georgia on Amendments to the Criminal Code of Georgia, 2020, No 5963-ss.
4. Law of Georgia on Amendments to the Criminal Code of Georgia, 2021, No. 971-Vlms-Xmp.
5. Law of Georgia on Amendments to the Criminal Code of Georgia, 2013, No. 472-rs.
6. Criminal Procedure Code of Georgia, 2009
7. Calculation and Compensation of Damages Caused to the State Forest Fund as a Result of Illegal Forest Use. Approved by the Order No. 99 of 2002 of the Minister of Environmental and Natural Resources Protection of Georgia.
8. Methodology for Calculating Damage to Environment. Approved by the Order No. 538 of 2006 of the Minister of Environmental and Natural Resources Protection of Georgia.
9. Methodology for Determination (Calculation) Damage to Environment. Approved by the Order No. 2 of 2011 of the Minister of Environmental Protection and Natural Resources of Georgia.
10. Methodology for Determination (Calculation) Damage to Environment. Approved by the Order No. 54 of 2014 of Georgian Government.
11. On Determining Investigative and Territorial Investigative Jurisdiction of Criminal Cases, Order No. 3 of 2019 of the General Prosecutor of Georgia, Appendix, Paragraph No.1.

Electronic Resources:

1. Statistics of registered crimes in 2017, column 68 of the table, link: <<https://www.geostat.ge/media/16776/danaSauli-2017.pdf>>, [Last accessed: 06/12/23].
2. In December 2017, for the Prime Ministerial Candidate's report to Parliament, <<https://sputnik-georgia.com/20180202/xo-ty-is-ukanono-gacexva-mTavrobis-praqtikuli-nabijebi-239164563.html>> [Last accessed: 12.06.23].
3. Statistics of registered crimes, 2018-2022, columns 68-69 of tables, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-sa-martlis-statistikis-ertiani-angarishi> [Last accessed: 13.06.23].

კვლევა (გრანტის #PHDF-22-541) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ზიანის მნიშვნელობა – დანაშაულებრივი ქმედება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გარეხვის შემადგენლობაში

ხვია ბეგიაშვილი

სამართლის დოქტორანტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი,
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ინსტრუქტორი, საქართველო

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გარეხვის შემადგენლობისთვის, აუცილებელი კომპონენტის გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის, მისი დაანგარიშების წესის და ზიანის მნიშვნელობის საკითხი. განხილული იქნება, თუ რას შეადგენს და როგორ გამოითვლება მუხლის დისპოზიციის აუცილებელი შემადგენელი - მნიშვნელოვანი ზიანი; სად გადის ზღვარი სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას შორის; რა სახის ზიანის გამოწვევა შეუძლია ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გარეხვას და რა მნიშვნელობა აქვს მათ გამოძიებისთვის, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისთვის და სასამართლოსთვის.

სტატია წარმოადგენს სიახლეს, ვინაიდან სხვა სამეცნიერო ნაშრომები არ ახდენს ჩვენ მიერ დამუშავებულ კვლევის საგნის იდენტიფიცირებას და სახელმძღვანელოებში თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კომენტარებში, ზიანთან დაკავშირებით საკმაოდ მწირი კვლევა მოიპოვება. გარემოზე მიყენებული ზიანი, თავისი სპეციფიკით განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებისთვის დაწე-

სებული ზიანის გაანგარიშების კლასიკური გაგებისგან. გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობაზე დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე ადმინისტრაციულ დარღვევასთან გვაქვს საქმე თუ სისხლის სამართლის დანაშაულთან, შესაბამისად საკითხის მეცნიერულად შესწავლას გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობაც.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია, ნათელი გახდეს სსკ-ის 303-ე მუხლის შემადგენლობისთვის აუცილებელი კომპონენტის - ზიანის საკითხის შესწავლა და მის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებზე სწორი წარმოდგენის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: გარემო, ზიანი, უკანონოდ გაჩეხვა, ხე-ბუჩქნარი

შესავალი

მსოფლიოს წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანათაგან განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება გარემოს დაცვას. ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე ყოველდღიურად იზრდება, განსაკუთრებით დღეს, რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, რაც იწვევს ეკოლოგიურად სავალალო შედეგებს. ადამიანის ინტენსიური ზემოქმედება ბუნებაზე გამოიხატება როგორც ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ხარჯვით, ასევე, მისი უკანონოდ მოპოვებით და განადგურებით. ბუნების მასშტაბური განადგურების სახედ შესაძლებელია მივიჩნიოთ უკრაინაში „კახოვკის ჰესის“ დამბის აფეთქება, რომელსაც თან სდევდა შეუქცევადი პროცესები, კერძოდ, განადგურდა წყლის, ნიადაგის, მცენარეული საფარის და ცხოველების ადგილსამყოფელი, რაც საერთო ჯამში შეფასდა ეკოციდად.¹

1 Hallam J, and others, Collapse of critical Ukrainian dam sparks region-wide evacuations. Here’s what we know, 2023, ელ. მის: <https://edition.cnn.com/2023/06/06/europe/ukraine-nova-kakhovka-dam-breach-intl-hnk/index.html>, (ბოლო ნახვა: 15.06.2023).

სახელმწიფოებმა და მათმა ლიდერებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აიღონ მეტი ვალდებულება მიწის, მცენარეული საფარის და წყლის ბუნებრივ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად, რადგან ეს ერთადერთი გზა დარჩა, ახლო მომავალში, მდგრადი კლიმატის შესანარჩუნებლად და, შესაბამისად, იმ ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან ასაცილებლად, რომელიც მსოფლიოს ემუქრება გლობალური დათბობის სახით. ამ მიზნით, მკვლევართა მიერ შემუშავებულია როგორც მოკლევადიანი, აგრეთვე გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რაც თავის თავში გულისხმობს მთელ რიგ პრევენციულ, დაცვით თუ აღდგენით ღონისძიებას.²

გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხის ჰარმონიზაცია სახელმწიფოს და საზოგადოების ეკოლოგიურ ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებთან, თითოეული სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამასთან, გარემოს დაცვის პრობლემა, დიდი ხანია, გაცდა ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრებს და დღეისათვის იგი წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო გამოწვევა. ყველა დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის, ჩაერთოს გარემოს საერთაშორისო-სამართლებრივი დაცვის საქმეში და გადაარჩინოს ბუნება და, მაშასადამე, შეინარჩუნოს მსოფლიოში ცხოვრების სათანადო ხარისხი.

ამ მხრივ, საქართველოში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისხლის თუ სხვა კანონმდებლობის სინქრონიზაციას საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე კარი ეთმობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.³ კარი შედგება ერთი თავისგან და 26 მუხლისგან⁴.

2 Dinerstein E. and others, A Global Deal For Nature: Guiding principles, milestones, and targets, SCIENCE ADVANCES, 2019, Vol 5, Issue 4, ელ. მის: <https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.aaw2869>. (ბოლო ნახვა: 12.06.23).

3 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, კარი მეათე.

4 იხ. იქვე, თავი XXXVI, დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ.

ვეთანხმებით ავტორთა მოსაზრებას, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი არის ბუნებრივი წარმოშობის და გარემოში არსებული ისეთი ობიექტები, რომელიც შექმნილია ბუნებრივად და შესაბამისად, მათზე არ დახარჯულა ადამიანური თუ მატერიალური რესურსი, მაგალითად: ჰაერი, მიწა, წყალი, მცენარეები, ცხოველები და სხვა.⁵ ამასთან, აღვნიშნავთ, რომ გარდა ბუნებრივი რესურსებისა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ისეთი რესურსებიც, რომლის მოყვანაში, გახარებაში, კულტივაციაში, გაშენებაში და ა. შ. დაიხარჯა ადამიანური და მატერიალური რესურსი (მაგ. პარკები, ქარსაცავი ზოლები, ბალები და ა. შ.).⁶

სამეცნიერო სტატიაში განხილულია, კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის⁷ დისპოზიციის სავალდებულო შემადგენლის, მნიშვნელოვანი ზიანის არსის, ოდენობის, გაანგარიშების წესის და მნიშვნელობის შესახებ პრობლემატური საკითხები.

აღნიშნულმა მუხლმა, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით საყურადღებო არის 2018 წლიდან განხორციელებული ცვლილებათა კასკადი, რაც, ერთი მხრივ, გამომწვეული იყო 2017 წელში, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზრდის ტენდენციით⁸ და, მეორე მხრივ, გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.⁹

სტატიაში ასევე განხილულია, თუ რა პოზიტიური და ნეგატიური შედეგები ჰქონდა მუხლში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს. უზრუნველყო თუ არა ახალმა წესებმა გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირება; შეუწყო თუ არა ხელი ტყის მდგრადი განვითარების პროცესს და შეამცირა თუ არა ტყით უკანონო სარგებლობის შემთხვევები. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზიანის დაანგარიშების, ზიანის სახეობის და ოდენობის და ანაზღაურების წესებს და მის მნიშვნელობას სისხლის სამართლის საქმეზე.

მუხლთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, დანაშაულებრივი ქმედება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის მუხლმა განიცადა ოთხი საკანონმდებლო ცვლილება. თავდაპირველად, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, სისხლისსამართლებრივი წესით, ისჯებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა მნიშვნელოვანი ზიანი,¹⁰ ცვლილების შემდეგ, მუხლის დისპოზიციიდან ამოღებული იქნა სიტყვა „გაუფრთხილებლობით“ და შესაბამისად განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე განისაზღვრა, როგორც განზრახ ჩადენილი დანაშაული. ამასთან, რიგი ავტორები აღნიშნულ ცვლილებას ნაწილობრივ აკრიტიკებენ და

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის რანგში გამოსვლისას გიორგი კვიციანიშვილმა ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვას ომი გამოუცხადა. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს გარემოსთვის მიყენებულმა ზარალმა 2017 წელს 8,5 მილიონი ლარი შეადგინა, ამასთან სატყეო კანონმდებლობის დარღვევის 1,7 ათასზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა (როგორც სისხლის აგრეთვე ადმინისტრაციული დარღვევის ფაქტების ნაკრები ნაგულისხმევი ავტ. შენ.) იხ. ელ. მის: <https://sputnik-georgia.com/20180202/xe-tyis-ukanonogacexva-mTavrobis-praqtikuli-nabijebi-239164563.html>, (ბოლო ნახვა: 12.06.23).

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 303. (2000 წლის 30 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

5 ლეკვიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეხუთე გამოცემა, თბ. 2017წ, გვ. 171-172.

6 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ, 2014, მუხ. 6.

7 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 303.

8 2017 წლის რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ცხრილის 68-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/media/16776/danaSauli-2017.pdf>, (ბოლო ნახვა: 12.06.23).

9 2017 წლის დეკემბერში პარლამენტის წინაშე

მიაჩნიათ, რომ მოცემული ცვლილებით, ვე-
ლარ იქნება შესაძლებელი სსკ-ის 303-ე მუ-
ხლით სისხლისსამართლებრივი დევნის
დაწყება იმ პირობაში, ვინც უკანონოდ
გაჩეხა ხე-ბუჩქნარი, რამაც გაუფრთხილებ-
ლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.¹¹
უნდა აღინიშნოს, რომ ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა
გამოიხატება აქტიურ და განზრახ მოქმედე-
ბაში, როდესაც პირ(ებ)ი წინასწარი განზრ-
ხვით, სათანადო ხელსაწყობით, ტექნიკით
ან ინსტრუმენტებით, უნებართვოდ მიდიან
ხის ან ბუჩქის მოსაჭრელად. მათთვის წინა-
სწარ არის ცნობილი, რომ არ აქვთ ხის მოჭ-
რის სათანადო ნებართვა/ლიცენზია და ის
ფაქტიც, რომ ნებისმიერი ხის ან ბუჩქის მოჭ-
რას მოყვება გარკვეული სახის ზიანი, რაზეც
დანვრილებით სტატიის შემდეგ ნაწილში
ვისაუბრებთ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ
დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური
მხარე, რაც გამოიხატება წინასწარ განზრ-
ხვაში, არ იძლევა გაუფრთხილებლობით ზი-
ანის დადგომის შესაძლებლობას. ვეთანხმე-
ბით ავტორთა მოსაზრებას, რომ აღნიშნული
ცვლილება იყო დასაბუთებული და აუცილე-
ბელი, ვინაიდან დისპოზიციის პირვანდელი
რედაქცია გულისხმობდა ხე-ბუჩქნარის უკა-
ნონოდ გაჩეხვის შედეგად გაუფრთხილებ-
ლობით დამდგარი მნიშვნელოვანი ზიანის
არსებობის შემთხვევაში სისხლისსამარ-
თლებრივ პასუხისმგებლობას და შესაბა-
მისად, გამორიცხავდა განზრახ ჩადენილი
ქმედებით გამოწვეული ზიანის პირობებში
ნორმის ამოქმედებას¹².

2018 წელს განხორციელებული საკანონ-
მდებლო ცვლილებით, არსებითად შეიცვალა
მუხლის დისპოზიცია და სტრუქტურა. კერძოდ,
ქმედების კვალიფიკაციისთვის ხე-ბუჩქნარის
უკანონოდ გაჩეხვის შედეგად გამოწვეული
ზიანის ოდენობას არ ჰქონდა მნიშვნელობა
ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხე-ბუჩქნარის
უკანონოდ გაჩეხვა ჩადენილი იქნება პირის
მიერ, რომელიც ადმინისტრაციულსახდე-

ლდადებულია: დაცული ტერიტორიებისა და
მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონე-
ბის საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცე-
ნარეთა უკანონო გაჩეხვისა და დაზიანების,¹³
სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, საქართვე-
ლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული
შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ხეტყის გა-
ნმეორებით დამზადების,¹⁴ მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტე-
რიტორიაზე (გარდა კერძო საკუთრებაში არ-
სებული ტერიტორიისა) მწვანე ნარგავების გა-
ნმეორებით დაზიანების, თვითნებური მოჭრის
და განადგურების¹⁵ და ქალაქ თბილისის მუნი-
ციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში
მწვანე ნარგავების განმეორებით დაზიანე-
ბის, თვითნებური გაჩეხვის ან/და გადატანის
(მათ შორის, მწვანე ნარგავის ისე დაზიანება
ან თვითნებურად გაჩეხვა, რომ ვერ დგინდე-
ბა დაზიანებული ან თვითნებურად გაჩეხილი
მწვანე ნარგავის სახეობა), მწვანე ნარგავე-
ბის მოვლა-აღდგენის წესების დარღვევის
ფაქტებზე.¹⁶ ამავე ცვლილებით, მუხლს დაემა-
ტა მესამე და მეოთხე ნაწილები, რომლის მი-
ხედვით, დანაშაულებრივ ქმედებად იქნა რეგ-
ლამენტირებული, სახელმწიფო ტყის ფონდის
მიწებზე ან დაცულ ტერიტორიებზე საქართვე-
ლოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ხე-ბუჩქ-
ნარის უკანონოდ გაჩეხვა¹⁷, იმ პირის მიერ,
რომელიც არის ადმინისტრაციულსახდე-
დებული დაცული ტერიტორიების დადგენილი
საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარე-
თა უკანონო გაჩეხვის და დაზიანების ფაქტზე
და ვინც განმეორებით ჩაიდინა აღნიშნული
ქმედება.¹⁸ აღსანიშნავია, რომ მუხლის მეოთხე
ნაწილისთვის დაწესებულმა სანქციამ, იგი მი-
აკუთვნა მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.¹⁹

2020 წელს, მუხლის მესამე ნაწილი შეი-
ცვალა და დისპოზიციაში წინადადება „სა-

11 ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმ-
ლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (წიგნი II), თბ. 2005, გვ. 43.
12 დვალაძე ი, თუმანიშვილი გ, გვენტაძე ნ, „კაზუ-
სის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში“, თბ. 2015წ, გვ. 85.

13 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდა-
რღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64¹, ნაწ. 1.
14 იხ. იქვე, მუხ. 66, ნაწ. 2.
15 იხ. იქვე, მუხ. 151, ნაწ. 2.
16 იხ. იქვე, მუხ. 151¹, ნაწ. 2.
17 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,
1999, მუხ. 303, ნაწ. 3-4.
18 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდა-
რღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64¹, ნაწ. 2.
19 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი,
1999, მუხ. მუხ. 12, ნაწ. 3.

ხვრია ბეგიაშვილი

ხელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ან დაცულ ტერიტორიებზე“ შეიცვალა ჩანაწერით „საქართველოს ტყეში ან დაცულ ტერიტორიაზე“.²⁰

2021 წელს, მუხლის პირველ ნაწილში შევიდა ცვლილება²¹ და ადმინისტრაციული დარღვევების ჩამონათვალს დაემატა ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის განმეორებითი ჩადენის ფაქტი.²²

წლების მანძილზე, მუხლში განხორციელებული ცვლილებების უმთავრესი მიზანი იყო ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტების წინაშე ბრძოლის გაძლიერება და აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების მინიმუმადე დაყვანა. მაგრამ სტატისტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, სათანადოდ ეფექტიანი ვერ აღმოჩნდა, წლების მანძილზე შეინიშნება დანაშაულის კლება, თუმცა მაჩვენებელი კვლავ საყურადღებო რჩება.²³

ზიანის არსი და მნიშვნელობა მუხლის დისკოფიციანში

საქართველოს ტერიტორიის 40%-მდე ტყით არის დაფარული,²⁴ შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ იგი, საქართველოში გავრცელებულ სხვა ბუნებრივ რესურსებზე შედარებით, მეტად ხელმისაწვდომი და, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ნაკლებად დაცული სიკეთე არის. იმის გათვალისწინებით, რომ

ხის მერქნის გამოყენება შესაძლებელია მრავალი დანიშნულებით, ხოლო, მისი ნაკლები დანახარჯებით მოპოვება უფრო მომგებიანია, სამწუხაროდ, საქართველოში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვამ გავრცელებული დანაშაულის სახე მიიღო.

ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულებრივი ქმედებაა, რაც გულისხმობს მისი ჩადენის დროს მატერიალური შედეგის დადგომის აუცილებლობას, აღნიშნული კი გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის (მოცემული მუხლისთვის გარემოსთვის) ზიანის მიყენებას.²⁵ დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, დანაშაულის სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში, ხოლო გაუფრთხილებლობით აღნიშნული დანაშაულის ჩადენა არის გამორიცხული, ვინაიდან მუხლს არ გააჩნია სათანადო დათქმა.²⁶ დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ხე და ბუჩქი, რომლის მოსაჭრელად საჭიროა სპეციალური ლიცენზიის ან ნებართვის გაცემა, ხოლო, ობიექტური მხარე გულისხმობს აქტიურ მოქმედებას, მიმართულს ხის ან ბუჩქის მოჭრისკენ, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ხერხით იქნება იგი განხორციელებული (მაგ.: ცული, ბირდაბირი, ელექტრო ხერხი თუ სხვა). ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელი წინაპირობა არის ზიანის ფაქტის დადასტურება და აღნიშნული ზიანის ოდენობის გამოთვლა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ამა თუ იმ თავის მიზნებისთვის, ზიანის ოდენობები რეგლამენტირებულია თავად მუხლის შენიშვნებში. მაგალითად, ეკონომიკური დანაშაულის თავისთვის მნიშვნელოვან ზიანად ითვლება, როდესაც ნივთის ღირებულება აღემატება 150 ლარს, ხოლო დიდ ოდენობად – 10 000 ლარს ზემოთ ოდენობა.²⁷ ფულის გათეთრებისთვის დიდ ოდენობად ითვლე-

20 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2020, #5963-სს.
21 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2021, #971-VIმს-Xმპ.
22 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984, მუხ. 64², ნაწ. 3.
23 რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, 2018-2022 წლები, ცხრილების 68-69-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertian-angarishi>, (ბოლო ნახვა: 13.06.23).
24 ურუშაძე თ, ლორია ვ, „ეკოლოგიური სამართალი“, თბ 1999, გვ.214.

25 ტურავა მ, „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.“, მერვე გამოცემა, თბ. 2010 წ, გვ. 76.
26 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხ. 10, ნაწ. 4.
27 იხ. იქვე, მუხ. 177-ის შენიშვნა.

ბა შემოსავალი 30 000 ლარიდან 50 000 ლარამდე, ხოლო, განსაკუთრებით დიდ ოდენობად – შემოსავალი 50 000 ლარს ზევით.²⁸ გადასახადისთვის თავის არიდებისთვის – დიდ ოდენობად ითვლება, როდესაც გადასახადელი გადასახადის თანხა აღემატება 100 000 ლარს, ხოლო, განსაკუთრებით დიდ ოდენობად – როდესაც თანხა აღემატება 150 000 ლარს.²⁹ ანალოგიური საკანონმდებლო დათქმა გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავს არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, თავის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისად.³⁰ ამასთან, სსკ-ის 303-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა პირს, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში იგი გადაიხდიდა დაკისრებულ თანხას, ან ამავე ვადაში მასთან დაიდებოდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თაობაზე შეთანხმება.³¹ კანონის აღნიშნული ჩანაწერი გაუქმებული იქნა 2013 წელს.³² შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი მოცემული მუხლისთვის არ განმარტავდა, თუ რა ოდენობა ჩაითვლებოდა მნიშვნელოვან ზიანად. თუნდაც ერთი ხის ან ბუჩქის უნებართვოდ მოჭრა, რა თქმა უნდა, გამოიწვევს გარკვეულ ზიანს, მაგრამ როგორ უნდა დავადგინოთ და გავმიჯნოთ, აღნიშნული ზიანი არის თუ არა მნიშვნელოვანი, ანუ, წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს და არის თუ არა უმნიშვნელო, ანუ, წარმოადგენს თუ არა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის

საფუძველს. ავტორთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მნიშვნელოვანი ზიანის საკითხი სასამართლომ უნდა შეაფასოს.³³ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან, სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, დანაშაულის შემადგენლობისთვის და, შესაბამისად, პროკურორისთვის პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოსატანად, გამომწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას წარმოადგენს ზიანის განმსაზღვრელი/ დამადასტურებელი დოკუმენტი. მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალმდებელს, ისევე როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებათა დასაშვებობის და დაცვის მხარის მტკიცებულებათა დაუშვებლობის დასაბუთების მოვალეობა.³⁴ ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რა დოკუმენტზე დაყრდნობით ხორციელდებოდა და ხორციელდება დღეს საქართველოში ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის შედეგად გამომწვეული ზიანის დაანგარიშება. აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი წლების მანძილზე არაერთხელ შეიცვალა.³⁵ მოქმედი ნორმატიული აქტით განისაზღვრა გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიან-

28 იხ. იქვე, მუხ. 194-ის შენიშვნა.
 29 იხ. იქვე, მუხ. 218-ის შენიშვნა.
 30 იხ. იქვე, მუხ. 291-ის შენიშვნა, ნაწ. 1 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).
 31 იხ. იქვე, მუხ. 291-ის შენიშვნა, ნაწ. 2 (2013 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქცია).
 32 საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2013, #472-რს.

33 ლეკვიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (წიგნი II), თბ. 2005, გვ. 42.
 34 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 5, ნაწ. 2; მუხ. 33, ნაწ.1; მუხ. 72, ნაწ. 3.
 35 მაგალითად: 2002-2006 წლებში მოქმედებდა „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №99, 2006-2011 წლებში – “გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ”, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №538, 2011-2014 წლებში – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №2, ხოლო 2014 წლიდან დღემდე – ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის“ დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54.

ნის ოდენობა და მნიშვნელობა. ზიანის მნიშვნელობას განსაზღვრავს მერქნიანი მცენარეების ან/და ბუჩქების უკანონოდ გაჩეხვა, რასაც ინვესტორს მათი ზრდის და სასიცოცხლო ფუნქციის შეწყვეტას. ამასთან, აღნიშნული ქმედება, რაც გამოიხატება მცენარის უკანონოდ მოჭრაში, ამოძირკვაში ან განადგურებაში შედეგად გარემოს უნდა აყენებდეს ზიანს 1000 ლარის ოდენობით ან მეტს.³⁶ ზიანის ოდენობის განსაზღვრისთვის მნიშვნელობა აქვს უკანონოდ გაჩეხილი ხე-ბუჩქნარის ოდენობას, მერქნის ჯიშს, მის ადგილმდებარეობას და სხვა.³⁷ გაანგარიშების შედეგად ზიანის ოდენობა თუ აღმოჩნდება 1000 ლარზე ნაკლები, ასეთ შემთხვევაში, პირს დაეკისრება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზიანის ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციულ-სახდელდადებული პირი, კვლავ ჩაიდენს ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვას. მიუხედავად იმისა, რომ ზიანმა შესაძლებელია ვერ შეადგინოს 1000 ლარი, პირის მიმართ დაინიშნება სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან ასეთი საკანონმდებლო დათქმა არსებობს მუხლის დისპოზიციის მიხედვით.

საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას.³⁸ გარემოზე მიყენებული ზიანის გაანგარიშება სცდება გამომძიებლის სპეციალური ცოდნის ფარგლებს. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სათანადო გაანგარიშებას აკეთებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სა-

ხელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ან/და ამავე სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები. ზიანის გაანგარიშების წერილობითი დოკუმენტი, მტკიცებულების სახით ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და წარმოადგენს კონკრეტული საქმისთვის მნიშვნელოვან აქტს, რომლის მიხედვით დასტურდება ზიანის ოდენობა და რომ ეს ზიანი არის მნიშვნელოვანი.

გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, რა თქმა უნდა, არ ცვლის ქმედების სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას, მაგრამ როგორც წესი, სასამართლოს მიერ ხდება მისი გათვალისწინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების დროს.

დასკვნა

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი ქმედება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის შემადგენლობისთვის, აუცილებელი გარემოება – ზიანის დაანგარიშება, ხორციელდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. ზიანის დაანგარიშებას ახდენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი პირი, თავის კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე, საგამოძიებო ორგანოების მიმართვის შემთხვევაში. გარემოზე მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა განსაზღვრულია 1000 ლარით, ან მეტი თანხით. შესაბამისად, თუ ზიანის ოდენობა შეადგენს მხოლოდ 999 ლარს, ან ნაკლებს, ასეთ შემთხვევაში, პირის მიმართ არ ინიშნება ან/და წყდება სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, აღნიშნულ პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი. სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავებით სხვა კატეგორიის დანაშაულებზე დაწესებული დათქმებისა, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე ზიანის კონკრეტულ ოდენობას არ

36 საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ, 2014, მუხ. 5, ნაწ. 6.

37 იხ. იქვე, დანართი 10.

38 საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება #3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019, დანართი, პუნქტი #1.

ანებს, რაც ხშირად ქმნის გაურკვევლობას საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეში. მიგვაჩნია, რომ გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავისთვის ან/და კონკრეტული მუხლებისთვის, სისხლის სამართლის კოდექსში, ნათლად მოხდეს ზიანის ოდენობის რეგლამენტაცია.

გარდა აღნიშნულისა, ხე-ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებთან ეფექტიანი ბრძოლის

და დანაშაულის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს, აღნიშნული მუხლით მსჯავრდებულებისთვის, სასჯელის ძირითად სახესთან ერთად, ისეთი დამატებითი ვალდებულებების დანესება, როგორც შეიძლება იყოს, მაგალითად გარემოზე მიყენებული ზიანის პროპორციულად ხე-ბუჩქნარის გაშენება და მათი მოვლა.

ბიბლიოგრაფია:

1. დვალაძე ი, თუმანიშვილი გ, გვენეტაძე ნ, „კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში“, თბ. 2015 წ.;
2. ურუშაძე თ, ლორია ვ, „ეკოლოგიური სამართალი“, თბ 1999;
3. ლეკვეიშვილი მ, მამულაშვილი გ, თოდუა ნ, მუმლაძე დ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, პირველი გამოცემა, (წიგნი II), თბ. 2005 წ.;
4. ლეკვეიშვილი მ, თოდუა ნ, მამულაშვილი გ, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეხუთე გამოცემა, თბ. 2017 წ.;
5. ტურავა მ, „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით.“, მერვე გამოცემა, თბ. 2010 წ;
6. Hallam J, and others, Collapse of critical Ukrainian dam sparks region-wide evacuations. Here’s what we know, 2023, ელ. მის: <https://edition.cnn.com/2023/06/06/europe/ukraine-nova-kakhovka-dam-breach-intl-hnk/index.html>, (ბოლო ნახვა: 15.06.2023);
7. Dinerstein E. and others, A Global Deal For Nature: Guiding principles, milestones, and targets, SCIENCE ADVANCES, 2019, Vol 5, Issue 4, ელ. მის: <https://www.science.org/doi/10.1126/sciadv.aaw2869> , (ბოლო ნახვა: 12.06.23 წ).

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2020, #5963-სს;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2021, #971-VIმს-Xმპ;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2013, #472-რს;
6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
7. „უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №99, 2002;

8. „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №538, 2006;
9. „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №2, 2011;
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 54, ტექნიკური რეგლამენტის – „გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, 2014;
11. საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება #3 „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 2019.

ელექტრონული რესურსები:

1. 2017 წლის რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/media/16776/danaSauli-2017.pdf>, (ბოლო ნახვა 15.06.2023).
2. 2017 წლის დეკემბერში კარლამენტის წინაშე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მოხსენების შესახებ, იხ. ელ. მის: <https://sputnik-georgia.com/20180202/xe-tyis-ukanono-gacexvamTavrobis-praqtikuli-nabijebi-239164563.html> (ბოლო ნახვა: 12.06.23).
3. რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, 2018-2022 წლები, ცხრილების 68-69-ე გრაფა, ელ. მის: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/679/siskhlis-samartlis-statistikis-ertiani-angarishi> (ბოლო ნახვა: 13.06.23).

THE HISTORICAL ROLE OF RELIGION AND NATIONALISM IN THE CONSTITUTIONS AND LAWS OF SYRIA, LEBANON AND TUNISIA

Mahmoud Tofan

*Doctoral Candidate of Law, Lecturer, Belgorod National
Research University, Belgorod, Russia Federation*

ABSTRACT

People knew the laws and provisions with the arrival of the first human gathering to the stage of civilized society, which requires the formulation of provisions and laws to regulate various aspects of life and the formulation of rights, duties and penalties when committing violations and crimes. One of these laws is the Law of Eshnunna, which preceded the Code of Hammurabi over the years. The latter regulated various aspects of life and included provisions and laws developed by the rulers at that time and considered them to represent the will of the gods and obligated the people to implement them, making this law the first positive law.¹ Religion has had a great and important place since the formulation of the first legal status by the rulers of ancient Iraq, and from here, we find the strength and historical relationship between law, religion, and nationalism, which has continued to this day.

KEYWORDS: Religion, Sharia, Islam, Christianity, Legislation, History

1 Al-Rubai'e, P. D. R. M. M. (2014). Eshnunna law – The first Sami law before Hammurabi law – (The legal study). *Journal of Juridical and Political Science*, 3(1). p. 8. <https://doi.org/10.55716/jjps.2014.3.1.2>

INTRODUCTION

Based on time and historical factors, we find that societies continued to develop and witnessed new canons other than positivism by the rulers, which are known as “the high canons”. Constitutions and laws of many countries became closely associated with religion, and the “canons of the heavenly religions”, and the provisions they contain became the basis of legislation and jurisprudence. The status of religion and its relationship with the law is not new. Yet, it is an old relationship based on harmony in content and principles, and this is what we find today in many constitutions of Arab and non-Arab countries, which stipulate the status of religion and take Sharia as the basis for legislation in several areas. The relationship between religion, nationalism and law is clearly manifested in the countries of the Near East, specifically the Arab countries. This relationship is embedded in several areas, for example, but not limited to marriage, divorce, determining the state religion, the religion of the president of the Republic, the source of legislation and many others. Moreover, the historical factor is considered important in making the status of religion strong and prominent in several Arab and Middle Eastern countries, and there has always been a reason for the strength and status of religion in drafting the laws and repealing them.

MAIN PART

The history of the role of religion and nationalism in the Syrian legal and constitutional models

Greater Syria was subjected to Ottoman rule for many decades. During this time, many laws and provisions were introduced, and religion played a pivotal role in forming the Sultanate and legislation. The relationship between religion and legislation was confirmed that the Ottoman sovereigns represent the sovereignty of the Islamic creativity. Article (4) of the same Constitution also emphasized that the Sultan pro-

pects the Islamic religion.² Furthermore, Article (8) stipulates that all subjects of the Sultanate are Ottomans. In the same vein, Article (11) stipulates that Islam is the religion of the state, emphasizing the freedom of other religions to practice their rituals.³ It is worth noting that in the Levant, many ethnic groups also exist in Turkey due to geography and proximity. For instance, we find Syriacs, Assyrians, Kurds, Circassians and other groups who were, in fact, Ottomans, hence applying Article (8) of the Ottoman Constitution of 1876.⁴ The Ottomans’ exit from the Levant in 1919 marked the beginning of a new stage. Arab nationalism and religion became strongly present in politics, as a provisional government was formed in Damascus, and King Faisal bin Hussein, the leader of the Arab Revolution, announced on October 5, 1918, the formation of an independent constitutional Arab government for all of Syria (Syria, Lebanon, Palestine, Jordan).⁵ The first Constitution of Syria was ratified on July 13, 1920, when Syria was a kingdom under the rule of King Faisal bin Hussein. This Constitution stipulated that Islam is the religion of the king in Article (1) and that the Arabic language is the official language in Article (3).⁶

In 1922, the League of Nations officially approved the French Mandate over Syria and Lebanon, and a new era began when France deliberately divided Syria into states on a sectarian

- 2 The Ottoman Constitution (23 December 1876). (n.d.). <https://iow.eui.eu/wpcontent/uploads/sites/18/2014/05/Brown-01-Ottoman-Constitution.pdf> [Last accessed: 29.03.2023].
- 3 Yavuz, M. A. (2021). Evolutionary secularization of the Ottoman law in the nineteenth century: Roots and implications. *Eskiyeni*, (44), p. 398.
- 4 Zhantiev, D. R. (2021). Religious policy of Sultan Abdul-Hamid II in the Syrian vilayets of the Ottoman Empire (1876-1909): methods and symbols. *RUDN Journal of World History*, 13(4), p. 349.
- 5 Watenpaugh, K. D. (2006). *Being modern in the Middle East: revolution, nationalism, colonialism, and the Arab middle class*. Princeton University Press, pp. 125-129.
- 6 Thompson, E. F. (2015). Rashid Rida and the 1920 Syrian-Arab Constitution: How the French Mandate Undermined Islamic Liberalism. In *The Routledge Handbook of the History of the Middle East Mandates* (p. 249).

basis, namely the state of Damascus, the state of Aleppo, the state of Alawites, and the Druze state. The French language was also imposed in schools, and special educational curricula were adopted in teaching, in addition to the activity of the missionary movement and systematically working to bring about changes in Syria and turn it into a French colony. France has also made changes in the judiciary, introduced non-religious legislation, and subjected the Islamic endowments to its direct authority and management.⁷

As for the Constitution of 1930, which was drafted under the French Mandate over Syria, we find that Syria has become known as the Syrian Republic and that the religion of the president is Islam and Arabic is the official language, and we find the transformation of Syria from a kingdom to a republic and the recognition of other languages besides Arabic, such as Kurdish in the North, Turkish, Syriac, Armenian and also French, in addition to guaranteeing the rights of religious and ethnic minorities.⁸

In comparing the Constitution of Syria of 1920 and 1930, we find several differences, not only pertaining to the transformation of Syria from a kingdom to a republic but also regarding religion and Arab nationalism. The Islamic religion was mentioned only three times when talking about the religion of the president of the Republic and the Islamic endowments, and the focus on the Syrian identity is more than the Arab identity, and this is clear from the term of the Syrian Republic without mentioning the character of Arabism.⁹

The policy of the mandate played a role in the emergence of differences between the Constitution of 1930 and the Constitution of 1920, and

this is what we noticed in the absence of Islamic jurisprudence as a source of legislation and the recognition of other languages besides Arabic as the official language.

The issue of language and its connection with religion is also very important. The Islamic religion is an Arab religion, and the Holy Quran is an Arabic book. The topic of Arab nationalism and the Arabic language and its connection with the Islamic religion cannot be separated. Therefore, we note the absence of mention of Arabism and Arab Nationalism in the Constitution of 1930 because of the French mandate policy, which divided Syria into sectarian states, rejected the Syrian constitution, and emphasized the unity of the Syrian territory.¹⁰ The French mandate ended with the exit of its forces from Syria and gained independence. Later in 1950, the new Syrian constitution was ratified, and defined the features of the state and its goals. This period of Syria's political history witnessed a conflict of ideas and trends between Syrian parties in Parliament, such as the People's Party, the Communist Party, the National Party, and the Muslim Brotherhood party. The inclusion of the Syrian constitution of clear, detailed Articles has given importance and status to Arab nationalism, the Islamic religion and respect for other religions and beliefs, in contrast to the Constitution of 1930, which witnessed a decline in the issue of nationalism and religion. Although the Republic is referred to simply as the "Syrian Republic", the following articles explicitly state the Arab – Islamic identity of Syria. The first article stated the following: 1) Syria is a fully sovereign representative democratic Arab Republic, 2) it is an indivisible political unit and part of its territory may not be given up, 3) the Syrian people are part of the Arab nation. With regard to the role of religion, the third article stipulated the following: 1) the religion of the president of the Republic is Islam, 2) Islamic jurisprudence is the main source of legislation, 3)

7 Zawijah, W. (2021). The development of the Syrian national movement under the mandate the Frenchman 1919-1947. University-Adrar. Faculty of Humanities, Social Sciences and Islamic sciences. p. 108.

8 Al-Zoabi, Z. National identity in Syrian Constitutions-the circumstances of the emergence and its reflections in the Syrian Constitutions. Qalamoun: Syrian Journal of Humanities, V29. p. 701.

9 The Syrian Constitution of 1930 (Proposed by the Constituent assembly in 1928) chs 2, Section 1,2,3,4; The Syrian Constitution of 1950 Art 1, 3, 114 <<https://picryl.com/media/constitution-of-the-syrian-republic-14-may-1930-88546b>> [Last accessed: 29.03.2023].

10 Akseneno, A. Prospects of Post-War Syria: Constitution and Governance <<https://russiancouncil.ru/en/analytics-and-comments/analytics/prospects-of-post-war-syria-constitution-and-governance/>> [Last accessed: 29.03.2023].

სამედიცინო ეთიკა მჭიდროდ უკავშირდება სამართალს, მაგრამ სამართალი და ეთიკა არაა იდენტური. ბევრ შემთხვევაში ეთიკა უზრუნველყოფს ქცევის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე კანონები. ამასთან, კანონები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, ხოლო ეთიკა გამოიყენება ნაციონალური საზღვრების მიუხედავად. პაციენტთა მოლოდინების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, მედიცინის მუშაკებს ჰქონდეთ სამედიცინო ცოდნა და გამოიყენონ სფეროში მოქმედი ძირითადი ღირებულებები პრაქტიკაში, ასევე, განსაკუთრებით იზრუნონ პაციენტზე, მათ შესაძლებ-

ლობასა და ავტონომიაზე. ამდენად, **მედიცინასა და სამართალს შორის არის მრავალი საერთო, ისინი ხშირად გადაიკვეთებიან** კიდევ. მედიცინა ზრუნავს ადამიანების ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე ერთი გზით, ხოლო სამართალი – სხვა საშუალებით. იურისტები და ექიმები სწავლის პროცესში სწავლობენ ზოგად დოქტრინას სასამართლო და იურიდიული მედიცინის შესახებ.¹³

ეთიკური მიდგომები შეიძლება მოიცავდეს იმის გადაწყვეტას, თუ რა იქნება ადამიანის ქცევის იდეალური გზა, ხოლო **სამართალი აწესებს მინიმალურად მისაღებ სტანდარტებს**. ანალოგიურად, რაღაცამ შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი სანქცია, მაგრამ არ იყოს არაეთიკური. მაგალითად, თუ ექიმი მოქმედებს კერძო პაციენტისთვის, ამით შეიძლება დაარღვიოს ხელშეკრულება, ვინაიდან გადაწყვიტოს, არ უმკურნალოს ამ პაციენტს. შესაძლოა, ამის ეთიკური მიზეზიც არსებობდეს. მაგალითად, თუ სხვა პაციენტი იყო გადაუდებელ აუცილებლობაში, სამართლებრივი თვალსაზრისით ეს ყოველთვის შეიძლება არ ამართლებდეს ხელშეკრულების დარღვევას.¹⁴ თუმცა როცა საქმე ეხება ტრაგიკულ კოლიზიას, ერთმანეთს ეჭახება თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესები და გადაწყვეტილებაც უნდა იყოს მიღებული ერთი მათგანის სასარგებლოდ მეორე სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის ხარჯზე.¹⁵

1. სამედიცინო ეთიკის კავშირი სამედიცინო სამართალთან

სამედიცინო სამართალსა და სამედიცინო ეთიკას შორის აშკარა კავშირია.¹⁶ **სამედიცინო სამართალი იურიდიული დისციპ-**

10 Todorovski, N., (2018). Medical Law and health law – is it the same? Acta Medica Mediana, Vol. 57(2), p. 38. <https://doi.org/10.5633/amm.2018.0206>

11 Alekseeva, I. M., Alekseev, A.G., Anischenko, M. A., (2016). Medical Law, Zaporozhye, p. 6.

12 გაბუნია, ლ., ხევერიანი, შ., გამყრელიძე, ნ., გუმბარიძე, ლ., ვარაზი ე., (2019). სამედიცინო დენტოლოგია და იატროგენული დაავადებების პრევენცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, N53, 29.

13 Ivanovic, S., Stanojevic, C., Jajic, S., Vila, A., Nikolic, S., (2013). Medical Law and Ethics, Acta Medica Mediana, Vol. 52(3), pp. 67-68.

14 Herring, J., (2012). Medical law and ethics, 5.th edition, Oxford, 3.

15 ტურავა, მ., (2010). სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 243.

16 Herring, J., (2012). Medical law and ethics, 5.th edition, Oxford, 3.

ლინაა, რომლის რეგულირების საგანი ურთიერთობების ვიწრო სპექტრია, კერძოდ, ვრცელდება პაციენტსა და სამედიცინო პერსონალს შორის ურთიერთობებსა თუ სამედიცინო საქმიანობაზე.¹⁷ სამედიცინო სამართლის საკანონმდებლო საფუძველი შეიქმნა ნიურნბერგის პროცესის შემდგომ პერიოდში, რომელმაც ბიძგი მისცა მის განვითარებას. ნიურნბერგის კოდექსის მუხლები ზღუდავდა ექსპერიმენტებს ადამიანებზე, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიიყენონ მათ ფსიქოსომატურ მდგომარეობას ან გამოიწვიოს სიკვდილი.¹⁸

სამედიცინო ეთიკა და სამედიცინო სამართალი ერთმანეთს ავსებენ; სამედიცინო ეთიკის წესების იურიდიულ ძალას აღიარებენ სასამართლოები და ჯანდაცვის თანამშრომელთა ნებისმიერი წარუმატებლობა, რომელიც არ შეესაბამება ამ წესებს, ექვემდებარება სანქციას. ამიტომ უდავოა, რომ სამედიცინო ეთიკა განიხილება სამედიცინო სამართლის წყაროდ. როდესაც სამედიცინო სფეროში მოქმედი ეთიკის პრინციპებსა და ქცევის წესებს მოიცავს სამართლის ნორმები, **ეს ორი სფერო ურთიერთგადაიკვეთება, ანუ გარკვეულწილად წარმოიშობა ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის სიმბიოზი.**¹⁹

სამედიცინო ეთიკის წესების დარღვევა შეიძლება იყოს იურიდიული პასუხისმგებლობის მაპროვოცირებელიც. საქმე ისაა, რომ რომელიმე სამედიცინო ეთიკის პრინციპის ხელყოფით შეიძლება დადგეს დამრღვევის პასუხისმგებლობა. მაგალითად, ეს ქმედება შეიძლება იყოს ადმინისტრაციული/დისციპლინური პასუხისმგებლობის, პაციენტის პირადი ავტონომიის შელახვისას კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის 1007-ე მუხლი, „ჯანმრთე-

ლობის დაცვის შესახებ“ კანონი).

ამასთან, ექიმს შეიძლება დაეკისროს დელიქტური პასუხისმგებლობა სამედიცინო ნორმების დაცვის მოვალეობის დარღვევის შედეგად.²⁰ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში განმარტებულია: სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედების დროს ექიმი არ არღვევს არც ვალდებულებას და მას არც ბრალი მიუძღვის. **ექიმი მხოლოდ მაშინ არის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებელი, როცა პაციენტისთვის მიყენებული ზიანი გამოიწვია მკურნალობისას დაშვებულმა შეცდომამ.** თუ ექიმმა რაიმე საკითხი ინდივიდუალურად არ იცის ან აღინიშნება პროფესიული სისუსტე, ეს მას არ ამართლებს, ვინაიდან ექიმი ხელყოფს სავალდებულო გულისხმიერებას მაშინაც, როდესაც ექიმი თავისი განათლებისა და კვალიფიკაციის ამალგების მოვალეობას არღვევს და, შესაბამისად, სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე ცოდნაც არ აქვს.²¹ ამდენად, საექიმო შეცდომის მიზეზი შეიძლება ატარებდეს ობიექტურ და სუბიექტურ ხასიათს. ობიექტურია, ვთქვათ ავადმყოფობის შესახებ მეცნიერებული ცოდნის არარსებობა. საექიმო შეცდომის სუბიექტური მიზეზი შეიძლება იყოს კონკრეტული ექიმის არასაკმარისი გამოცდილების შედეგი.²²

ამდენად, ექიმის სამართლებრივ მოვალეობებსა და ეთიკურ პასუხისმგებლობას შორის შეიძლება იყოს შეუსაბამობები და მსგავსებები, მაგრამ ექიმს ევალება როგორც კანონის, ისე პროფესიული ეთიკის სახელმძღვანელო დებულებების დაცვა. თუნდაც ექიმს მიაჩნდეს, რომ რთულია კანონის მოთხოვნების დაცვა, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება მის ეთიკურ შეხედულებებს, ექიმს

17 Radišić, J., (2007). Medicinsko pravo. Beograd: Nomos, p. 24; Ivanovic, S., Stanojevic, C., Jajic, S., Vila, A., Nikolic, S., (2013). Medical Law and Ethics, Acta Medica Medianae, Vol. 52(3), p. 67.
 18 გორდელაძე, დ., ჩაჩიბაია, თ., (2005). ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი, თბ., 33.
 19 Ivanovic, S., Stanojevic, C., Jajic, S., Vila, A., Nikolic, S., (2013). Medical Law and Ethics, Acta Medica Medianae, Vol. 52(3), pp. 67-68.

20 Deutch, E., Spickhoff, A., (2014). Medizinrecht, Arztrecht, Arzneimittelrecht, Medizinproduktrecht und Transfusionsrecht, 7. Auflage, Heidelberg, S. 191.
 21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (Nას-1268-1526-09).
 22 იბ. Sibilla, B., (2011). Medical Error in Ukraine, Med. & L, Vol. 30, Issue 1, p. 43; ბიჭია, მ., (2021). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 90.

ევალეა კანონის დაცვა.²³ ამდენად, აღნიშნული დანაწესი ეხმარება პრინციპს: Fiat lex, pereat mundus, რადგან „თუნდაც მთელი ქვეყანა დაიქცეს, კანონი უნდა აღსრულდეს!“²⁴

3. სამედიცინო სამართლისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპები

არსებობს ეთიკის ოთხი პრინციპი: „აკეთე სიკეთე“, „არ ავნო“, ავტონომია და სამართლიანობა. პირველი ორი ჰიპოკრატეს დროის „დაეხმარო და არ დააზიანო“-ს წესიდან წარმოსდგება, ხოლო ბოლო ორი მოგვიანებით წარმოიშვა. პერსივალის წიგნში ეთიკაზე 1800-იანი წლების დასაწყისში გამოკვეთილი იყო პაციენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნის მნიშვნელობა, ხოლო ავტონომია და სამართლიანობა მაშინ არ განიხილებოდა. თუმცა დროთა განმავლობაში როგორც ავტონომია, ისე სამართლიანობა აღიარეს მნიშვნელოვან ეთიკურ პრინციპად. ჩვენს დროში ბოშაშპისა და ჩილდრესის წიგნი „ბიოსამედიცინო ეთიკის პრინციპები“ ითვლება კლასიკად, რომელიც ამ ოთხი პრინციპის გამოყენებისა და ალტერნატიული მიდგომების შესახებ წარმოდგენას იძლევა.²⁵

განმანათლებლობის დროს გაჩნდა ახალი მოსაზრება, რომ პაციენტს შეუძლია ექიმის მოსმენა, თუმცა პაციენტის მოტყუება მაინც აუცილებელი იყო, რათა ექიმს პაციენტის მოვლა გაადვილებოდა. 1800-იანი წლებში მედიცინის მუშაკთა მოსაზრებები გაიყო იმაზე, უნდა აცნობონ თუ არა პაციენტს მისთვის არასასურველი პროგნოზი. იმდროინდელ ექიმთა უმეტესობა პაციენტისთვის მათი მდგომარეობის შეტყობინების წინააღმდეგი იყო.²⁶

მოგვიანებით იცვლება სიტუაცია, დღეს კი **სიმართლის თქმა ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია**; ამ ელემენტის გარეშე ექიმი კარგავს პაციენტის ნდობას. ავტონომიურ პაციენტს არა მხოლოდ აქვს უფლება, გაიგოს თავისი დიაგნოზი და პროგნოზი, არამედ გააჩნია შესაძლებლობა, უარი თქვას ამ ინფორმაციის გამჟღავნებაზე. თუმცა ექიმმა უნდა იცოდეს, ამ ორი ვარიანტიდან რომელს ანიჭებს უპირატესობას პაციენტი. აშშ-ში ამჟამად **ნორმაა პაციენტისთვის სრული ინფორმაციის მიწოდება, მიუხედავად დაავადების სიმძიმისა**, თუმცა წარსულში ასე არ იყო. მაგალითად, 1961 წელს გამოკითხული ექიმების 88%-მა მიუთითა, რომ უპირატესობას ანიჭებდნენ დიაგნოზის გამჟღავნებას.²⁷ ეს შეიცვალა 1979 წელს, როცა გამოკითხული ექიმების 98%-მა მხარი დაუჭირა პაციენტისთვის დიაგნოზის გამხელას.²⁸

საქმე ისაა, რომ სამედიცინო პრაქტიკის პატერნალისტული მიდგომა კრიტიკულად უნდა გაანალიზდეს ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესის გამო. ეს იმითაა განპირობებული, რომ გაუმჯობესდა მოსახლეობის საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, შემოვიდა გლობალიზაციის ნიშნები და **განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პაციენტს, როგორც ინდივიდს** და არა როგორც ჯგუფის წევრს. შესაბამისად, ავტონომიის პრინციპის დაცვამ ექიმს დააკისრა მოვალეობა, გაუმჟღავნოს პაციენტს **სამედიცინო ინფორმაცია და შესთავაზოს მკურნალობის ვარიანტები, რომლებიც აუცილებელია პაციენტის თვითგამორკვევისთვის**. ამით ავტონომიის დაცვა ემსახურება ინფორმირებული თანხმობის, სამართლიანობისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფას.²⁹

23 Jackson, E., (2015). The relationship between medical law and good medical ethics, *Journal of medical ethics*, 41 (1), p. 97.

24 იხ. პოშერი, რ. (2014). ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ. მთარგმნელი: ბიჭია, მ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 61.

25 Varkey, B., (2021). Principles of Clinical Ethics and Their Application to Practice, *Med Princ Pract*, Vol. 30, p. 18, <https://doi.org/10.1159/000509119>

26 Murray, P. M., (1990). The History of Informed Consent, *The Iowa Orthopaedic Journal*, Vol. 10, p. 104.

27 Varkey, B., (2021). Principles of Clinical Ethics and Their Application to Practice, *Med Princ Pract*, Vol. 30, p. 20, <https://doi.org/10.1159/000509119>

28 Novack, D. H., Plumer, R., Smith, R.L., Ochitill, H., Morrow, G. R., Bennett, J. M., (1979). Changes in physicians' attitudes toward telling the cancer patient, *The Journal of the American Medical Association*, Vol. 241, No. 9, p. 898.

29 Varkey, B., (2021). Principles of Clinical Ethics and Their Application to Practice, *Med Princ Pract*, Vol. 30, p. 19, <https://doi.org/10.1159/000509119>

ფაქტობრივად, ეთიკის ოთხი პრინციპიდან თითოეული განიხილება მოვალეობად, რომელიც უნდა შესრულდეს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ის არ ეწინააღმდეგება სხვა პრინციპს. ამგვარ კონფლიქტთან დაკავშირებით ექიმმა უნდა განსაზღვროს ფაქტობრივი მოვალეობა პაციენტის წინაშე, რადგან შესწავლილი იქნება კონკურირებადი ვალდებულებების წონა მათი შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, პაციენტი შოკურ მდგომარეობაშია და მას გაუწიეს სასწრაფო ინფუზიური თერაპია. მუდმივი ინტრავენური კათეტერის მოთავსებამ გამოიწვია ტკივილი და შეშუპება. აქ პრინციპი „აკეთე სიკეთე“ აჭარბებს „ზიანი არ მიაყენო“-ს პრინციპს. თუმცა ხშირად უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ასეთია შემთხვევა, როცა ქმედუნარიანი პაციენტი უარს ამბობს სიცოცხლის გადარჩენისთვის აუცილებელ სამედიცინო ჩარევებზე (მაგალითად, მექანიკური ვენტილაციის აპარატის დაყენებაზე) ან სთხოვს გარდაცვალებამდე მიყვანას (ბელოვნიური ვენტილაციის შეწყვეტა). ეთიკური დილემები ყველაზე კარგად ჩანს მაშინ, როცა სიკეთის კეთებისა და ავტონომიის პრინციპები ერთმანეთს ეჯახება. სიკეთის კეთებამ ითამაშა ისტორიული როლი ტრადიციულ სამედიცინო პრაქტიკაში. თუმცა მას რომ მიენიჭოს უპირატესობა პაციენტის ავტონომიასთან შედარებით, ეს იქნება პატერნალისტული მიდგომა, რაც ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობას ამსგავსებს მამის/დედის ურთიერთობას ბავშვთან. მამას/დედას შეუძლია უარი უთხრას ბავშვს თავისი სურვილის შესრულებაზე, ასევე, შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვზე სხვადასხვა ხერხით – გაუმჟღავნებლობით, მანიპულირებით, ტყუილით, იძულებით და ა.შ. შესაბამისად, მშობელი განსაზღვრავს იმას, თუ რაა ბავშვისთვის უკეთესი. ესაა პატერნალიზმის ძირითადი არსი. პატერნალიზმი შეიძლება იყოს რბილი და მძიმე. რბილი პატერნალიზმის ფარგლებში ექიმი მოქმედებს სიკეთის კეთების (ზოგჯერ კი „არ მიაყენო ზიანის“) საფუძველზე, თუ პაციენტი არაა ავტონომიური ან მეტწილად არაა დამოუკი-

დებელი (მაგალითად, კოგნიტური დისფუნქცია აქვს მძიმე ავადმყოფობის, დეპრესიის ან ნარკომანიის გამო).³⁰

რბილი პატერნალიზმი შეიცავს სირთულეებს, რადგან რთულია იმის დადგენა, იყო თუ არა პაციენტი არაავტონომიური გადანყვეტილების მიღებისას, ასევე, იყო თუ არა ეთიკურად გამართლებული ქმედება, რომელიც შეესაბამება ექიმის გადმოსახედიდან პაციენტისთვის ღირებული ჩანდა. მკაცრი პატერნალიზმის დროს ექიმის ქმედება, რომელიც პაციენტისთვის სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად, ეწინააღმდეგება იმ ავტონომიური პაციენტის ნებაყოფლობით გადანყვეტილებას, რომელიც სრულად ინფორმირებული და ქმედუნარიანია. ამიტომ ეს ქმედება გაუმართლებელია ეთიკური თვალსაზრისით. მძიმე პატერნალიზმის მასშტაბის მეორე მხარეს მომხმარებლობაა, პაციენტის ავტონომიის იშვიათი და უკიდურესი ფორმა, რომლის მიხედვითაც, ექიმის როლი შემოიფარგლება სამედიცინო ინფორმაციის, მკურნალობის დასაშვები ინტერვენციის ყველა ვარიანტისა და მეთოდის მიწოდებით მაშინ, როცა სრულად ინფორმირებული პაციენტი ირჩევს დასაშვები ვარიანტებიდან ერთ-ერთს. ამ მოდელში ექიმის როლი შეზღუდულია; ეს მიდგომა არ იძლევა პაციენტის სასარგებლოდ ექიმის ცოდნისა და უნარების სრულად გამოყენების შესაძლებლობას, უტოლდება პაციენტისგან უარის თქმას და, შესაბამისად, ეთიკურად გაუმართლებელია.³¹

4. სამედიცინო სამართლის ინტერდისციპლინური ხასიათი

სამედიცინო სამართალი სამართლის ინტერსექტორული (ინტერდისციპლინური) დარგია. ფაქტობრივად, სამედიცინო სამართალი არის სამართლის სფეროებს შორის გზაჯ-

30 Tonelli, M. R., Misak, C. J., (2010). Compromised Autonomy and the Seriously Ill Patient, CHEST, 137, 4, p. 926, DOI: [10.1378/chest.09-1574](https://doi.org/10.1378/chest.09-1574)

31 Varkey, B., (2021). Principles of Clinical Ethics and Their Application to Practice, Med Princ Pract, Vol. 30, p. 21, <https://doi.org/10.1159/000509119>

ვარედინზე. ის მოიცავს საჯარო სამართლის, ასევე, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ასპექტებს და არ შეუძლია თავი დააღწიოს ევროპული სამართლის გავლენას.³²

არსებობს მოსაზრება, რომ სამედიცინო სამართალი ეხება სფეროს, რომელშიც კანონი განსაკუთრებით ხელს უწყობს კარგ ქცევას. სინამდვილეში სამედიცინო სამართალი დიდწილად განვითარდა სამართლის სხვა სფეროების, როგორცაა დელიქტური სამართალი და სისხლის სამართალი, პრინციპების გადმოღებით. ფაქტობრივად, ტერმინი „**სამედიცინო სამართალი**“ გამოიყენება **სამართლებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრის მიმართ**. სამედიცინო სამართალი არეგულირებს დელიქტურ პასუხისმგებლობას, ზოგჯერ კი სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას, ასევე, დელიქტურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შესაბამისი თანხმობის გარეშე მკურნალობის განწესების, **ანესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობითი მკვლელობისა და სამედიცინო მკვლელობისთვის – ევთანაზიისთვის** (რაც ინგლისში მკვლელობად განიხილება), თვითმკვლელობაში დახმარებისთვის. ამასთან, სამედიცინო სამართალი შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას კონფიდენციალობის დაცვის მოვალეობის დარღვევისთვის, აბორტისთვის, სხეულის ნაწილების გამოყენებისთვის, მათ შორის ორგანოების დონორობისა და გარდაცვალების დადგენისთვის. ასევე, სისხლის სამართლის ნორმები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მკურნალობას შეუწყვეტენ და უარს ეტყვიან პაციენტს, რომელსაც გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. ერთი სიტყვით რომ ითქვას, **სამედიცინო სამართალი ვრცელდება ადამიანის მთელ ცხოვრებაზე დაბადებიდან გარდაცვალებამდე**. ბევრ საკითხს, რომელსაც იურისტ-მედიკოსები განიხილავენ, აქვს ძლიერი ეთიკური გავლენა. ამიტომ მნიშვნელოვანია სამართლებრივი და ეთიკური საკითხების ერთმანეთისგან გამიჯვნა.³³

ამასთან, **სამედიცინო სამართალი განიხილება კომპლექსურ სამართლებრივ ინტერდისციპლინურ დარგად**, რადგან ის აერთიანებს ბიოეთიკას, ჯანდაცვის კანონმდებლობას, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსებს, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარისხზე ზრუნვას; ასევე, ჯანმრთელობას აღიქვამს მედიკო-სოციალურ და იურიდიულ კატეგორიად.³⁴ სამედიცინო სამართალი არის სამართლის კომპლექსურად განვითარებული დარგი, რომელიც მოიცავს სამედიცინო საქმიანობის სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლის ნორმებს. შესაბამისად, სამედიცინო სამართლის საგანი ის საზოგადოებრივი ურთიერთობებია, რომლებიც სამედიცინო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოიშობა. სამედიცინოდ განიხილება საქმიანობა, რომელიც აერთიანებს სამედიცინო მომსახურების გაწევასა და ორგანიზებას, ადამიანთა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას.³⁵

სამედიცინო სამართალს აქვს გარკვეული ნიშნები, რომლებითაც ის განსხვავდება სამართლის სხვა დარგებისგან. საყურადღებოა სამედიცინო სამართლის შემდეგი თავისებურებები:

ა. ისაა შერეული, რადგან **შეიცავს საჯარო და კერძოსამართლებრივ ფორმებს, მატერიალური და საპროცესო სამართლის** (მტკიცებითი სამართლის, სამოქალაქო საპროცესო და სისხლის საპროცესო სამართლის) ნორმებს;

ბ. **სამედიცინო სამართალი დინამიკური ხასიათისაა**, რადგან მედიცინის თანამშრომელთა საქმიანობის მომწესრიგებელ წესებს ყოველთვის უნდა შეეძლოს ადაპტაცია აუცილებელ ახალ დიაგნოსტიკურ, თერაპიულ და გამოკვლევის პროცედურებთან;

32 Janda, C., (2019). Medizinrecht, 4. Auflage, München, S. 27; Janda, C., (2022). Medizinrecht, 5. Auflage, S. 27.

33 Foster, C., Herring, J., (2021). The Law as a Moral Agent: Making People Good, Springer, p. 63.

34 გორდელაძე, დ., ჩაჩიბაია, თ., (2015). ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი, თბ., 32.

35 Агиевец, С. В. и др., (2022). Медицинское право: учебник, под ред. Агиевец С. В., Василевича Г. А., Минск, 8.

გ. ამასთან, ის ობიექტურია იმით, რომ კანონი განსაზღვრავს მის თანმიმდევრულობას;

დ. სამედიცინო სამართალი მეტწილად იმპერატიულ ხასიათს ატარებს. მასში შემავალი იურიდიული ნორმები ატარებს ეთიკურ, მორალურ და ფუნდამენტალისტურ ხასიათს, თუმცა არ შეიძლება გამოირიცხოს მხარეთა სპეციალური შეთანხმებები, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას.³⁶ იმპერატიული ნორმების დროს მხარეებს არ აქვთ ამ წესისგან გადახვევისა და ურთიერთობის სხვაგვარად მოწესრიგების შესაძლებლობა.³⁷

განსაკუთრებულია აღნიშნული ურთიერთობების მოწესრიგებაში საერთაშორისო აქტების როლი. მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან საყურადღებოა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი. ამ პაქტის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ „ყველა ადამიანის უფლებას უმაღლესი ხარისხის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.“ რა თქმა უნდა, ეს არ აისახება ნეგატიურ განზომილებაში, როგორც ავადმყოფობისგან თავისუფლებაზე უფლება. ასეთი უფლება არ შესრულდებოდა, თუ ეს დამოკიდებული იქნებოდა ადამიანის ორგანიზმში შემთხვევითობებსა და გაუთვლელ პროცესებზე. საერთაშორისო პაქტში განმტკიცებული უფლება ჯანმრთელობაზე იძლევა შესაძლებლობას, პირმა თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარ სხეულსა და ჯანმრთელობაზე. ეს უკავშირდება სამედიცინო მოქმედებების ჩატარებისთვის თანხმობის გაცემას.³⁸

ამასთან, აღნიშვნის ღირსია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც მე-8 მუხლის ფარგლებში იცავს პაციენტის

პირად ავტონომიას. თუნდაც პაციენტის უარი კონკრეტულ სამედიცინო ჩარევაზე ინვევდეს ფატალურ შედეგს, სამედიცინო პროცედურის ჩატარება გონებრივად ჯანმრთელი და სრულწლოვანი პაციენტის თანხმობის გარეშე გულისხმობს მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს ხელყოფს.³⁹

პაციენტის ავტონომია ავტონომიურ უფლებათა გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც უკავშირდება ინფორმირებულ თანხმობას. ინფორმირებული თანხმობის გაცემისას ერთდროულად უნდა იყოს დაცული რამდენიმე წესი: ნებაყოფლობითობა, გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობა, პაციენტისთვის საკუთარი სამედიცინო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, პაციენტს უნდა ჰქონდეს გაცნობიერების უნარი და მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება.⁴⁰

პაციენტს უნდა ჰქონდეს სათანადო პირობები და საკმარისი დრო, გააანალიზოს კლინიკის მიერ მიწოდებული ცნობები, ვინაიდან თანხმობის ნებაყოფლობით გაცემა გამორიცხავს გაუმართლებელი ზეწოლის ან სხვა გარემოებების ზეგავლენის გზით ნების გამოვლენას. საქმე ისაა, რომ თუ პაციენტს მიაწოდეს ინფორმაცია სამედიცინო აჩაკომფოჩული (მედიკამენტოზური) ძილის სესიებს შორის მაშინ, როცა ის იმყოფებოდა ძლიერი სტრესისა და დაღლილობის მდგომარეობაში, ნაკლებად სავაჩაუდოა, რომ მან ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს.⁴¹ პაციენტმა შეიძლება რჩევა სთხოვოს ახლობლებს, რო-

36 Varsi Rospigliosi, E., (2003). Medical Law: Perú, International Encyclopedia of Laws, Netherlands, p. 43.
37 იბ. Bydlinski P., (2007). Grundzüge des Privatrechts für Ausbildung und Praxis, 7., wesentlich überarbeitete Auflage, Wien, S. 13.
38 Janda, C., (2019). Medizinrecht, 4. Auflage, München, S. 28.

39 Jehovah’s Witnesses of Moscow and Others v. Russia, no. 302/02, 10 June, 2010.
40 Carmen, M. G. Del, Joffe, S., (2005). Informed Consent for Medical Treatment and Research: A Review, The Oncologist, №10 (8), p. 637; ბიჭია, მ., (2022). ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 180.
41 Konovalova v. Russia, no. 37873/04, 9 September, 2014; ასევე, A.S. v. Hungary, CEDAW/C/36/D/4/2004, 29 August, 2006.

მელთა აზრიც, ცხადია, მის არჩევანზე გავლენას მოახდენს. თუმცა, თუ პაციენტისთვის ეს რჩევები არის არა ბრძანება, არამედ გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი ინფორმაცია, მაშინ მისი საბოლოო გადაწყვეტილება (არჩევანი) იქნება ავტონომიური. ასევე, შესაძლოა, პაციენტი დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს წინადადებას, მიიღოს ექიმის ჩანაფიქრი. პაციენტმა რომ გამოხატოს თანხმობა, ის ექიმის შეთავაზებას საკუთარ გადაწყვეტილებად აქცევს, შესაბამისად, პაციენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც იქნება ავტონომიური.⁴²

ამასთან, სამედიცინო სამართლის სფეროზე შეინიშნება ევროპული სამართლის გავლენაც. საქმე ისაა, რომ ევროპული სამართალი მოიცავს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ წესებს, რომლებიც ეხება ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. **ევროპული სამართალი წევრი სახელმწიფოებისთვის ადგენს პოლიტიკას მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის ამაღლების, ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განათლების მიღებისა და სხვა საკითხების მიმართულებით.**⁴³ შესაბამისად, ესაა გარკვეული ორიენტირი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჯანდაცვის სფეროში წევრი სახელმწიფოები.

სამედიცინო სამართალი განეკუთვნება რთულ (კომპლექსურ) დარგთა კატეგორიას, რის გამოც სამართლებრივი რეგულირების მეთოდები განსხვავებული იქნება, საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, ვინაიდან ჯანდაცვის სფეროში განვითარებული ურთიერთობების უმეტესობა სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა, სამართლებრივი რეგულირების მეთოდი ამ შემთხვევაში ეფუძნება ნებართვით წესებს. თუ სამედიცინო სამართა-

ლში განიხილება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები, მაშინ მათი რეგულირების მეთოდები ორიენტირებულია აკრძალვებზე, ხოლო ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობების დროს – მავალდებულებელ წესებზე.⁴⁴

სამედიცინო სამართალში იმპერატიული ნორმების არსებობაც ბუნებრივი უნდა იყოს, რადგან სამედიცინო სამართალი, უპირველეს ყოვლისა, საჯარო სამართლის დარგია ფართო გაგებით. სამედიცინო სამართლის მრავალი მანდატისთვის, იქნება ეს ჰოსპიტალური სექტორი, საექიმო კონტრაქტების სამართალი, პროფესიული სამართალი, ნარკოტიკების, სამედიცინო მოწყობილობებისა (პროდუქტების) და ფარმაცევტული სამართალი, აუცილებელია როგორც საჯარო სამართლის ნორმების სტრუქტურის, ისე საჯარო სამართლის მომწესრიგებელი ინსტრუმენტების გაგება. ეს უფრო მეტად მისაღებია, როცა სამედიცინო სამართლის ეს ნაწილი განიხილება კომერციულ ადმინისტრაციულ სამართლად.⁴⁵

მაგალითად, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა და სახელმწიფოს მხრიდან ამ მომსახურების **ანაზღაურების პროცედურა ეფუძნება იმპერატიულად დადგენილ წესთა მკაცრ დაცვას.** ეს გულისხმობს როგორც სამედიცინო დაწესებულების მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სწორად წარმოებასა და განუვლ მომსახურებაზე სააგენტოსთვის რეალური ინფორმაციის მიწოდებას, ისე ასეთი ინფორმაციის წარდგენისას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობას. წარდგენილ ინფორმაციაში არსებითი შეუსაბამობის გამოვლენა შეიძლება გახდეს კლინიკისთვის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ან უკვე ანაზღაურებული თანხის დაბრუნების დავალების წინაპირობა. საქართველოში სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო

42 ბიჭია, მ., (2019). პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 52.

43 Janda, C., (2022). Medizinrecht, 5. Auflage, München, S. 28.

44 Агиевец, С. В. и др., (2022). Медицинское право: учебник, под ред. Агиевец С. В., Василевича Г. А., Минск, 8-9.

45 Ratzel, R., (2008). Luxenburger B., Handbuch Medizinrecht, Saarbrücken, S. 3-4.

რეგულირების სააგენტოს“ ევალუება სამედიცინო დოკუმენტაციის რევიზია. კერძოდ, მის კომპეტენციაში შედის, დაადასტუროს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების შეუსაბამობა შეტყობინების სისტემაში გადაცემულ დიაგნოზსა და ჩარევასთან. ერთ-ერთ საქმეზე დადგინდა, რომ ამ საკითხების განხილვა ადმინისტრაციული სამართლის შესწავლის საგანია.⁴⁶

გარდა ამისა, **სამედიცინო ბარათის ზედმინვენით წარმოებას აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით**, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც პაციენტის მკურნალობისთვის ერთი სამედიცინო დაწესებულების მონაწილეობა საკმარისი არაა და დამატებით საჭირო ხდება სხვა სამედიცინო დაწესებულების ჩართულობა. ამ შემთხვევაში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მინიმალურ დროში გაუმჯობესებისთვის არსებითია, ერთი სამედიცინო დაწესებულებიდან მეორე სამედიცინო დაწესებულებამდე მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია აღწევდეს. აღნიშნული საკითხი იმითაა განპირობებული, რომ ინფორმაციის დროულ გაცვლას მოჰყვება დროის მცირე მონაკვეთში პირველადი სამედიცინო გამოკვლევების ეფექტურად ჩატარება და საჭირო სამომავლო სამედიცინო ღონისძიებების დროული განსაზღვრა. ეს მიემართება დაუზუსტებელ დიაგნოზსაც, რომლის შესახებაც ინფორმაციის მიწოდება მეორე სამედიცინო დაწესებულებას აძლევს საშუალებას, **მაქსიმალურად დაავიწროვოს შესაძლო სამედიცინო დიაგნოზების არეალი და აუცილებელი გამოკვლევების** გზით დროის გაცილებით მცირე მონაკვეთში დასვას **დაზუსტებული დიაგნოზი**. თუ სამედიცინო დაწესებულებებს შორის ინფორმაცია არასრულყოფილადაა გაცვლილი, აღნიშნული ქმნის მეორე სამედიცინო კლინიკაში გადაყვანილი პაციენტის მიმართ საჭირო სამედიცინო ღონისძიებების დაგვიანებით განხორციელების რისკს. ფაქტობრივად, ეს

გამოწვეულია იმით, რომ სამედიცინო დაწესებულება იძულებულია, დიაგნოზის დასადგენად ხელმეორედ გაიაროს ის გზა, რაც პირველმა სამედიცინო დაწესებულებამ მასთან მოთავსებული პაციენტის შემოწმებისას უკვე გაიარა. **სამედიცინო ბარათში აისახება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა**, რაც საფუძვლად ედება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემას. ეს ცნობა შემდგომში წარედგინება იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც გადაჰყავთ პაციენტი. ამიტომ საქართველოს საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ **სამედიცინო ბარათში ნებისმიერი სახის დიაგნოზის (დაზუსტებული თუ დაუზუსტებელი) ასახვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პაციენტის გამოჯანმრთელების პროცესში და სამედიცინო ბარათის წარმოების ამ ნების დარღვევა ქმნის სამედიცინო შემთხვევის მიძიმედ დასრულების რეალურ საფრთხეს**. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთ საქმეზე დადგინდა, რომ როგორც პაციენტის განერისას ჯანმრთელობის **მდგომარეობის შესახებ ცნობის გაუცემლობა**, ისე დასკვნით **კლინიკურ დიაგნოზში თერაპევტის დიაგნოზისა** (არასტაბილურ სტენოკარდია თუ მწვავე პნევმონია) და კარდიოლოგის დიაგნოზის (არასტაბილური სტენოკარდია) **გაუთვალისწინებლობა**, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, **ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პროფესიული სახდელის გამოყენების** საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში პირს შეუჩერდა რამდენიმე თვით სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება და დაევალა „გადაუდებელ მედიცინაში“ 2-თვიანი პროფესიული რეაბილიტაციის კურსის გავლა. ამ პირობებში ჯანდაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსთვის დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება მოიაზრებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების გამოყენებას. აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, ასევე, მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა

46 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 1 მაისის №ბს-9(კ-23) განჩინება.

ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.⁴⁷

აქვე საინტერესოა ერთი საკითხი: ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებას არ აქვს რამდენიმე მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა, რადგან დაწესებულება არ ფლობს კონკრეტულ ხელსაწყოს, დანადგარს ან არ ჰყავს სპეციალისტს. არადა სწორედ მათი დახმარებით უნდა დაისვას საბოლოო დიაგნოზი. შესაძლოა, ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარდა კონკრეტული კვლევა ან სამედიცინო აპარატით შემონმება, მეორე სამედიცინო მოქმედების განხორციელება საჭირო გახდა სხვა სამედიცინო დაწესებულებაში და საბოლოო დიაგნოზი დასვა მესამე სამედიცინო დაწესებულების ექიმმა, რომელიც დანარჩენი ორი სამედიცინო დაწესებულების კვლევებს დაეფუძნა. როდესაც სხვა სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებულმა კვლევებმა განაპირობა მესამე სამედიცინო დაწესებულების ექიმის მიერ არასწორი დიაგნოზის დასმა, სამივე იქნება პასუხისმგებელი შედეგისთვის იმ შემთხვევაში, თუ მესამე დაწესებულების ექიმმა სწორად შეაფასა მის ხელთ არსებული კვლევები, მაგრამ არასწორი დიაგნოზი დასვა მანამდე ჩატარებული არასწორი კვლევების გამო?

საქმე ისაა, რომ ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება პირდაპირპროპორციულად განსაზღვროს სხვა დაწესებულებაში საბოლოოდ არასწორი შედეგი – არასწორი დიაგნოზი. შესაბამისად, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში არსებულ კვლევებს შორის დგინდება ლოგიკური ჯაჭვი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხელმყოფი პირის პასუხისმგებლობისგან არიდებასა თუ დაუზუსტებლობასთან ასოცირდება. უმჯობესია, მსგავს შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებამ არ აწარმოოს ისეთი საქმიანობა, რომლის განსახორციელებლად მას არ აქვს შესაბა-

მისი პროფესიული ინვენტარი და არ ჰყავს სათანადო სფეროს სპეციალისტი. ამასთან, თუ სხვა გამოსავალი არაა, შესაძლოა, სხვა სამედიცინო დაწესებულებამ იტვირთოს „დამხმარეს“ როლი და განახორციელოს სამედიცინო მომსახურება, მაგრამ ამ პირობებში უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც კვალიფიციურად კვლევების წარმოება, ისე დიაგნოზის დამსმელი სამედიცინო დაწესებულების ექიმთან სრული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება. სხვა შემთხვევაში დიდია პასუხისმგებლობისგან თავის არიდებისა და სამედიცინო გადაცდომების საფრთხეები. სსკ-ის 1007-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. თუმცა ზიანის მიმყენებელი შეიძლება განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. შესაბამისად, ზემოთ მოცემული მაგალითი წარმოშობს შემდეგ სირთულეებს: მესამე სამედიცინო დაწესებულების ექიმმა უნდა დაამტკიცოს საკუთარი ბრალის არარსებობა, რომ თავისი პასუხისმგებლობა გამორიცხოს. ამასთან, დაზარალებულს გაუჭირდება პასუხისმგებელი სუბიექტის დადგენა.

იმპერატიული მეთოდი ძალაუფლების შემცველი ინსტრუქციების მეთოდი, რომელიც ახასიათებს უპირველესად ძალაუფლებით ურთიერთობებს. სამედიცინო საქმიანობიდან გამომდინარე ეს სამართლებრივი ურთიერთობები შეეხება ჯანდაცვის დაწესებულებების, მათი ცალკეული (სტრუქტურული) განყოფილებების, მეწარმეების და ა.შ. სახელმწიფო რეგულაციების შესრულებას (მაგალითად, ლიცენზირება, სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება). **დისპოზიციური მეთოდი გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა იურიდიულ თანასწორობას**. ამდენად, სამედიცინო ჩარევის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, ძირითადად, აქვს პაციენტს. ამ ვითარებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ივლისის №ბს-853(კ-20) განჩინება.

პაციენტისა და ექიმის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების კონკრეტული მეთოდი, რომელიც თან ახლავს მხოლოდ სამედიცინო სამართალს, ესაა სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით პაციენტის ან მისი წარმომადგენლის აზრის პრიორიტეტულობის მეთოდი.⁴⁸

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ნაკლებადაა შესწავლილი ჯანდაცვის **სამართალი, როგორც ადმინისტრაციული სამართლის ნაწილი**. ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია – ჯანდაცვის სისტემაში წესრიგის დაცვა. საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სამართლის ნორმების ერთიანი კოდიფიკაცია არ არსებობს. შესაბამისად, აქ წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ის უამრავი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ამ სფეროში მოქმედებს და, მეორე მხრივ, სხვადასხვა დარგობრივი კანონი, რომელშიც უხვადაა ჯანმრთელობის დაცვის ნორმების ან/და ჯანდაცვის სამართალთან დაკავშირებული ნორმები. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.⁴⁹

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც **დადგენილია ზოგადი პოსტულატები ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების**, მოქალაქეთა უფლებების, ჯანმრთელობის სისტემის მართვის, ორგანიზაციისა და დაფინანსების, სამედიცინო საქმიანობისა და სამედიცინო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგებისა და სხვა საკითხების შესახებ. ჯანდაცვის პოლიტიკა უშუალოდ დაკავშირებულია ჯანდაცვის ად-

მინისტრირებასთან. მოცემული კანონით გათვალისწინებულია ჯანდაცვის პოლიტიკის ამოცანები, რომლებიც ჯანდაცვის სამართლებრივ მოწესრიგებას ეხება. ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონის შესრულებისას კანონი მიმართულია მრავალი სტრატეგიული გეგმის დანერგვისა და შესაბამისი შედეგების მიღწევისკენ.⁵⁰

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ის ადმინისტრაციული ორგანოა, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, სახელმწიფო მართვის მექანიზმებით უზრუნველყოს ჯანმრთელობის მართვის სრული სისტემის მართვა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება. ამასთან, ცალკე მიღებულია კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს, პარამედიკოსსა და სახელმწიფო ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის (მე-2 მუხლი). ეს კანონი ადგენს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების, სამედიცინო უწყვეტი პროფესიული განვითარების, სახელმწიფო სერტიფიცირების, პროფესიული პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხებს. ასევე, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის **მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა**; ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სხვა. ეს კანონიც მკაფიოდ განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრინციპებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს. დასახელებული კანონები, სხვა კანონებთან ერთად, დაკავშირებულია ჯანდაცვის სამართალთან, როგორც ადმინისტრაციული სამართლის ნაწილთან.⁵¹

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ **სერტიფიკატის გაცემის**

48 Агиевец, С. В. и др., (2022). Медицинское право: учебник, под ред. Агиевец С. В., Василевича Г. А., Минск, 9.

49 მაკარაძე, დ., ხაზარაძე, გ., (2014). ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 72-73.

50 თალაკვაძე, ა., გოცაძე, თ., ბოკერია, ი., ბაქაქური, ნ., სხვიტარიძე, ზ., გზირიშვილი, დ., (2011). ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბ., 76.

51 მაკარაძე, დ., ხაზარაძე, გ., (2014). ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 74-75.

საკითხი არის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განხილვის საგანი. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლებას პირს ანიჭებს პროფესიული განვითარების საბჭო სახელმწიფო სერტიფიკატის გაცემის გზით. სერტიფიკატის გაცემისთვის აუცილებელია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირობების დაცვა. სამედიცინო დაწესებულებამ შეიძლება მაქსიმალური დისციპლინური სახდელის სახით გამოიყენოს საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიმართ სამედიცინო დაწესებულებიდან გათავისუფლება, ხოლო საბჭოს მიერ განსაზღვრული უმკაცრესი პასუხისმგებლობის ზომაა სახელმწიფო სერტიფიკატის გაუქმება, შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების აკრძალვა.⁵²

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონსაწინააღმდეგო, ბრალული ქმედებით მიყენებული ზიანის კვალიფიკაციისთვის უნდა გაირკვეს „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების“ ცნების ფუნქციური დატვირთვა, რაც საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესს გულისხმობს.⁵³ როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, სამედიცინო სამართალი არ შემოიფარგლება ადმინისტრაციული სამართალით. სამედიცინო სამართალი უკავშირდება სამართლის სხვადასხვა სფეროს ფართო წრეს: სისხლის სამართალს, ადამიანის უფლებების სამართალს, დელიქტურ სამართალს, სახელშეკრულებო სამართალს, საჯარო სამართალს, სანივთო სამართალსა და საოჯახო სამართალს.⁵⁴

განსაკუთრებულია სამედიცინო დავებზე დაზარალებულის ინტერესების დაცვის საქმეში სახელშეკრულებო სამართლის როლი. სპეციფიკურია სახელშეკრულებო სამართალის ნორმები, რომლებიც არეგუ-

ლირებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მათი თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა განსხვავებულ შესაძლებლობას იძლევა სსკ-ის 326-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ წესები გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.⁵⁵ ეს ნორმა წარმატებით გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში სამედიცინო პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების კვალიფიკაციისას. მოცემული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური უფლების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისკენ. შესაბამისად, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრების დროს გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის კომპენსირების მომწესრიგებელი ნორმები.⁵⁶

საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების დადება არ გამორიცხავს დელიქტური ვალდებულების წარმოშობას. ვალდებულების სამართლებრივი ბუნების დასადგენად განმსაზღვრელია იმის გარკვევა, რა იურიდიული ფაქტი უდევს საფუძვლად ზიანის წარმოშობას – სახელშეკრულებო პირობების დარღვევა თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით აბსოლუტური ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების ხელყოფა.⁵⁷ სსკ-ის 1007-ე მუხლის მიზანია, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებაზე გავრცელდეს დელიქტური პასუხისმგებლობა. დელიქტური პასუხის-

52 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის №ბს-257-257(კ-18) განჩინება.

53 ტურავა, პ., წიკვლაძე, ნ., (2010). ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 146.

54 Herring, J., (2012). Medical law and ethics, 5.th edition, Oxford, p. 2; Herring, J., (2022). Medical law and ethics, 9.th edition, Oxford, p. 2.

55 ბიჭია, მ., (2020). კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-3 გამოცემა, თბ., 41.

56 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 ნოემბრის №ას-1169-2022 გადაწყვეტილება.

57 კვანტალიანი, ნ., (2014). პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბ., 55.

მგებლობის მოწესრიგების ზოგადი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი. ამიტომაც სსკ-ის 1007-ე მუხლი განიხილება დელიქტურ ვალდებულებებში გამონაკლისად.⁵⁸

დასკვნა

როგორც ჩანს, სამედიცინო სამართალი ინტერდისციპლინური დარგია, რადგან მოიცავს არა მხოლოდ სამართლის, არამედ მეცნიერების სხვა დარგებსაც, როგორცაა ბიოეთიკა, მედიცინა, ფსიქოლოგია. რაც შეეხება სამართლის დარგთა სისტემაში სამედიცინო სამართლის ადგილს, სამედიცინო სამართალი არ შეიძლება სწორხაზოვნად სამართლის მხოლოდ ერთ დარგს განვაკუთვნოთ. ესაა სამართლის დარგი, რომელიც მოიცავს როგორც საჯარო (ადმინისტრაციული) სამართლის, ისე სისხლის სამართლის, სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის ნაწილებს. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო სამართალი ზოგადი გაგებით საჯარო და კერძო სამართლის ჰიბრიდული ვარიანტია. ამიტომ სამედიცინო სამართალი უნდა ჩაითვალოს სამართლის კომპლექსურ დარგად.

კვლევა ადასტურებს, რომ სამედიცინო სამართალი მოიცავს როგორც ნებადართვით და აკრძალვით, ისე მავალდებულებელ წესებს. **სამედიცინო სამართლის დისპოზიციური ნაწილი ასოცირდება** სამოქალაქო სამართალთან, მავალდებულებული და აკრძალვითი წესები – საჯარო სამართალთან (ადმინისტრაციული სამართალი და სისხლის სამართალი). **სამედიცინო სამართლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნაწილი მოიცავს სერტიფიცირების, სერტიფიკატის გაუქმების, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის სა-**

თანადოდ წარმოების, ფარმაცევტული საქმიანობისა და სხვა წესებს. სამედიცინო სამართლის კერძოსამართლებრივი ნაწილი, ძირითადად, ეხება სახელშეკრულებო სამართლის თუ დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელ ნორმებს.

ამასთან, სამედიცინო სამართალს აქვს მჭიდრო კავშირი სამედიცინო ეთიკასთან, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება. **გარდა სამედიცინო ეთიკისა, სამედიცინო სამართალი მოიცავს სხვა კომპონენტებს. სამართლის ნორმების დარღვევამ შეიძლება განაპირობოს ხელმყოფის მიმართ სანქციის დაკისრება, თუმცა არ განიხილებოდეს არაეთიკურად. ამასთან, არაა გამორიცხული არაეთიკურმა მოქმედებამ განაპირობოს სამართლის წესების დარღვევა და, შესაბამისად, სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ეს იქნება ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობა). შესაბამისად, სამედიცინო სამართლის სფეროში რომელი სამართლებრივი რეგულირების მეთოდი (დისპოზიციური თუ იმპერატიული) იქნება გამოყენებული, დამოკიდებულია უშუალოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათზე.**

აქვე აღსანიშნავია, რომ სამედიცინო სამართლის სფეროში განსაკუთრებულია კერძო სამართლის როლი. საქმე ისაა, რომ სამედიცინო სფეროში შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური სამართლის ნორმები. ეს კიდევ უფრო ცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ, სსკ-ის 326-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ წესები გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუ ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამდენად, პაციენტის კერძოსამართლებრივი მოთხოვნების დაცვას უზრუნველყოფს სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის ნორმები.

58 სუხიტაშვილი, თ., სუხიტაშვილი, დ., (2011). სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(30), 71-72; ბიჭია, მ., (2021). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 96.

ბიბლიოგრაფია:**ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წ. 26 ივნისი, N786-III ს.
2. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1997 წ. 10 დეკემბერი, N1139-IX ს.
3. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2001 წ. 8 ივნისი, N904-III ს.
4. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007 წ. 27 ივნისი, N5069-რს.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბიჭია, მ., (2022). ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება“, რედ. კორკელია კ., თბ., 180.
2. ბიჭია, მ., (2021). სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 90, 96.
3. ბიჭია, მ., (2020). კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-3 გამოცემა, თბ., 41.
4. ბიჭია, მ., (2019). პაციენტის პირადი ავტონომიის დაცვისა და ინფორმირებული თანხმობის გაცემის თავისებურებები (ქართული და ევროპული მიდგომები), ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №12, 52.
5. გაბუნია, ლ., ხეცურიანი, შ., გამყრელიძე, ნ., გუმბარიძე, ლ., ვარაზი, ე., (2019). სამედიცინო დეონტოლოგია და იატროგენული დაავადებების პრევენცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, N53, 29.
6. გორდელაძე, დ., ჩაჩიბაია, თ., (2005). ბიოეთიკა და სამედიცინო სამართალი, თბ., 32-33.
7. თალაკვაძე, ა., გოცაძე, თ., ბოკერია, ი., ბაქაქური, ნ., სხვიტარიძე, ზ., გზირიშვილი, დ., (2011). ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბ., 76.
8. კვანტალიანი, ნ., (2014). პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბ., 55.
9. კვანტალიანი, ნ., რუსიაშვილი, გ., (2022). ექიმის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი სისტემატიკა და ექიმის ბრალის მნიშვნელობა, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“, №1, 1-2.
10. მაკარაძე, დ., ხაზარაძე, გ., (2014). ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბ., 72-75.
11. პოშერი, რ., (2014). ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ. მთარგმნელი: ბიჭია, მ., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(41), 61.
12. სუხიტაშვილი, თ., სუხიტაშვილი, დ., (2011). სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(30), 2011, 71-72.

13. ტურავა, პ., წკეპლაძე, ნ., (2010). ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 146.
14. ტურავა, მ., (2010). სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 243.
15. Alekseeva, I. M., Alekseev, A.G., Anischenko, M. A., (2016). Medical Law, Zaporozhye, 2016, p. 6.
16. Bakshi, P. M., (1993). Law and Medicine, Lucknow, pp. 2, 6.
17. Bydlinski, P., (2007). Grundzüge des Privatrechts für Ausbildung und Praxis, 7., wesentlich überarbeitete Auflage, Wien, 2007, 13.
18. Bock, K. D., (1993). Was ist Medizin? In: Wissenschaftliche und alternative Medizin, Heidelberg, 7, https://doi.org/10.1007/978-3-642-78170-4_2
19. Carmen, M. G. Del, Joffe, S., (2005). Informed Consent for Medical Treatment and Research: A Review, The Oncologist, №10 (8), 637.
20. Deutch, E., Spickhoff, A., (2014). Medizinrecht, Arztrecht, Arzneimittelrecht, Medizinproduktrecht und Transfusionsrecht, 7. Auflage, Heidelberg, S. 191.
21. Ivanovic, S., Stanojevic, C., Jajic, S., Vila, A., Nikolic, S., (2013). Medical Law and Ethics, Acta Medica Mediana, Vol. 52(3), pp. 67-68.
22. Foster, C., Herring, J., (2021). The Law as a Moral Agent: Making People Good, Springer, p. 63.
23. Jackson, E., (2015). The relationship between medical law and good medical ethics, Journal of medical ethics, 41 (1), p. 97.
24. Janda, C., (2019). Medizinrecht, 4. Auflage, München, S. 27-28.
25. Janda, C., (2022). Medizinrecht, 5. Auflage, München, S. 27-28.
26. Herring, J., (2012). Medical law and ethics, 5.th edition, Oxford, pp. 2-3.
27. Herring, J., (2022). Medical law and ethics, 9.th edition, Oxford, p. 2.
28. Murray, P. M., (1990). The History of Informed Consent, The Iowa Orthopaedic Journal, Vol. 10, p. 104.
29. Novack, D. H., Plumer, R., Smith, R.L., Ochitill, H., Morrow, G. R., Bennett, J. M., (1979). Changes in physicians' attitudes toward telling the cancer patient, The Journal of the American Medical Association, Vol. 241, No. 9, p. 898.
30. Radišić, J., (2007). Medicinsko pravo. Beograd: Nomos, p. 24.
31. Ratzel, R., Luxenburger, B., (2008). Handbuch Medizinrecht, Saarbrücken, S. 3-4.
32. Varsi Rospigliosi, E., (2003). Medical Law: Perú, International Encyclopedia of Laws, Netherlands, p. 43.
33. Sibilla, B., (2011). Medical Error in Ukraine, Med. & L, Vol. 30, Issue 1, p. 43.
34. Todorovski, N., (2018). Medical Law and health law – is it the same? Acta Medica Mediana, Vol. 57(2), pp. 34, 38. <https://doi.org/10.5633/amm.2018.0206>
35. Tonelli, M. R., Misak, C. J., (2010). Compromised Autonomy and the Seriously Ill Patient, CHEST, 137, 4, p. 926, DOI: [10.1378/chest.09-1574](https://doi.org/10.1378/chest.09-1574)
36. Varkey, B., (2021). Principles of Clinical Ethics and Their Application to Practice, Med Princ Pract, Vol. 30, p. 18-21 <https://doi.org/10.1159/000509119>
37. Агиевец, С. В. и др., (2022). Медицинское право: учебник, под ред. Агиевец С. В., Василевича Г. А., Минск, 8-9.

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 1 მაისის Nძბს-9(კ-23) განჩინება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 ნოემბრის Nძას-1169-2022 გადაწყვეტილება.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ივლისის Nძბს-853(კ-20) განჩინება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის Nძბს-257-257(კ-18) განჩინება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება (Nას-1268-1526-09).
6. Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia, no. 302/02, 10 June, 2010.
7. Konovalova v. Russia, no. 37873/04, 9 September, 2014.
8. A.S. v. Hungary, CEDAW/C/36/D/4/2004, 29 August, 2006.

This research N PHDF-22-2858 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

THE EFFECTIVENESS AND VALUE OF USING ALTERNATIVE DISPUTE RESOLUTION MECHANISMS TO PREVENT OR RESOLVE LABOR DISPUTES AT AN EARLY STAGE

Nini Kepuladze

Doctoral Candidate of Law, New Vision University, Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The development of effective mechanisms for the prevention and/or alternative resolution of labor disputes is one of the challenges of the Labor Code of Georgia. It should be noted that in 2020, in order to bring the legislation closer to the recommendations and standards of the International Labor Organization (ILO), as well as to the directives of the European Union, a number of changes were made to the Labor Code of Georgia, including regarding the prevention and/or alternative resolution of labor disputes.

Despite the changes, the issue of the effective use of labor dispute prevention and/or alternative resolution mechanisms in practice is still questionable.

The article discusses the mechanisms of prevention and/or alternative resolution of labor disputes provided by the Labor Code of Georgia. The existing legislative gap in this direction is highlighted. Based on the review of international legislation, effective mechanisms for the prevention and/or alternative resolution of labor disputes are proposed.

KEYWORDS: ADR, Labor law, Individual labor disputes

INTRODUCTION

Disputes are part of human nature. It can be manifest everywhere, including the employment arena.¹ Conflict is inherent in any organization and if not managed properly, such conflict will become a more formal grievance, like a dispute.²

Employment disputes can be stressful and lengthy, no matter what the reason behind them is. They can be the result of dismissal, discrimination, and a range of other factors. In most cases, employees are willing the dispute to be resolved easily and without a long, drawn-out process.³ Alternative dispute resolution (ADR), is often regarded as a better option than the more conventional mechanisms for the settlement of labor disputes, because of the lower cost and greater speed involved.⁴ Nowadays, solving and/or preventing any kind of conflict at the workplace is one of the main prerequisites for the proper functioning of the modern labor market.⁵

The research conducted under the auspices of the European Union (EU) and the United Nations Development Program (UNDP) showed that the citizens of Georgia most often complain about the violation of labor rights.⁶ Con-

sequently, effective alternative mechanisms for avoiding and/or resolving labor disputes has the most importance for the labor market of Georgia. Despite the legislative arrangement in the Labor Code of Georgia, there is still a question mark about its effective use in practice.

In the case of the Court of Cassation, the practice of appealing the decision of the Court of Appeal has been introduced in the penitentiary system for several months, at this stage, the majority of the Supreme Court’s administrative chamber’s ruling concerns the dismissal of the Casator’s complaint at the Court of Appeal, even if the Supreme Court is judged. The cassation appeal of E. was left unconsidered by the court of cassation, and the judgment was issued using the first article of the Administrative Procedure Code, Articles 60, 396, 399 of the Civil Procedure Code.²⁰

Compared to parole – legal description

This chapter will discuss the peculiarities of the use of parole in light of the legal traditions and experiences of foreign countries.

18 Decision of the Constitutional Court of Georgia on July 11, 2017 in the case “Georgian citizen Imeda Khakhutaishvili vs. Parliament of Georgia”, paragraph II-10.

19 Tbilisi appeal Decision of the court No. 3 b / 295-19 of September 11, 2019.

20 Judgment of the Supreme Court of May 30, 2023, Nbs-283(K-23).

There are different legal mechanisms of parole in different European countries. Although the attitude towards the active use of parole is changing day by day, the power of the head of state to pardon convicts remains the most effective means of parole in many European countries. Mass pardons are still a reality. Their use is particularly marked both during periods of great political change (such as the period of post-communist changes in Eastern Europe) and as a common mechanism for commuting or at least exoneration of convicted persons (for example, in France).²¹

“As mentioned in the recommendation of the Council of Europe on parole (the recommendation was received and approved by the Committee of Ministers of the Council of Europe on September 24, 2003), three systems of parole are common in the member states of the Council of Europe: Discretionary release system, Mandatory release system) and mixed (Mixed release system). A discretionary parole system operates in most European countries, with a classical form operating in France. Mandatory system is developed in Sweden and mixed – in England and Wales. According to the mandatory system, a convicted person in Sweden is automatically released after serving 2/3 of the sentence if he has spent at least one month in prison. In the mixed system, automatic release applies to persons sentenced to short terms of imprisonment, while those sentenced to long terms are subject to discretionary parole requirements.

In Germany, the criminal code provides for the conditional release of a prisoner after serving 2/3 of the sentence. The decision on parole is made by the Criminal Court (Strafvollstreckungsgericht), the prosecutor is also present at the process, but he does not have the right to participate in the decision. In the case of life imprisonment, the court may allow the prisoner to be released early after serving at least 15 years of the sentence. The criminal law judge of the Land-

gericht makes the decision.

In England, people serving sentences of less than four years are eligible for parole after serving half of their sentence. Parole is limited to convicts serving a sentence of more than four years. In case of early release, they are assigned probation service supervision until 75% of the sentence is served. Some sex offenders are placed under supervision until the end of their sentence.

In France, prisoners can apply for parole to the Penalty Application Commission. If the term of the sentence exceeds one year, three months are subtracted from each year (i.e., in the case of 2 years of imprisonment, six months will be subtracted from the term of the sentence); if the term of the sentence is less than one year, seven days will be subtracted from each month (i.e., in the case of 4 months of imprisonment, one will be subtracted from the term of the sentence month). A sentence of life imprisonment may also be commuted, but the reduction of the sentence shall not exceed 20 days or one month after one year of the sentence. The decision on parole is made by the judge of penal affairs (Juge de l'application des peines); if the sentence does not exceed 10 years or three years remain, in other cases, the regional parole court (Juridiction regionale de liberation conditionnelle), the case is reviewed before parole in the national cassation court of liberation (Cour de cassation la jurisdiction nationale de la liberation conditionnelle). In all cases, a court hearing is scheduled at the request of the applicant's lawyer, and the decision can be appealed.²²

Parole is a common occurrence in Georgia and is not used only in cases where negative prognoses related to the convict are evident. We encounter such practices in Belgium, Denmark, and Switzerland. For example, in Sweden, a convicted person is released on parole after serving two-thirds of the sentence unless there are a number of contradictory circumstances. As of January 1, 2007, one of these grounds is the vio-

21 Levy R., (2007). Pardons and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (From Crime, Punishment, and Politics in Comparative Perspective) Michael Tonry, ed. – See NCJ-241880, 551-590.

22 Khmaladze M., (2017). The issue of conditional release of the convict in foreign countries, information magazine for the project of the Prison Code of Georgia, Tbilisi, pp. 2-3.

lation of a suspended sentence, which will result in its cancellation.²³

The comparative analysis reveals that the basis for differentiation is, first of all, the existing model in Georgia, and then the actual terms of service according to the category of the crime, as well as the authorized bodies accepting parole, which in general intersects with different approaches to the use of parole as a special release mechanism from serving a sentence.

CONCLUSION

As we can see, parole is an alternative type of imprisonment. It is not alien to Georgian legislation and judicial practice. The past period clearly showed its advantages and disadvantages, which were discussed in the present article with a general legal description.

As a result of the study of practical and scientific materials, I consider it appropriate to formulate several provisions that include an innovative solution to the existing shortcomings in relation to the present topic:

- It is recommended to write a legal norm to regulate the appropriate rule for calculating the grace period;
- The position was substantiated in cases related to the exceptional rule of consid-

eration of the issue of parole;

- The circle of persons authorized to petition the local council was defined, and the opinion was substantiated that in the case of submission of a power of attorney or a warrant, the local council should not request materials from the penitentiary institution where the beneficiary is serving a sentence based on the lawyer's application;
- It was established that the dismissal or removal of the conviction does not change the fact of committing a crime in the past and does not oblige the local council to take into account the said factual circumstance in combination with other factual circumstances when examining the legal status of the person deprived of liberty;
- The article selects only a part of the cases where small flaws are revealed, this serves not to criticize or reprimand the court but rather to the process of avoiding violations and reducing the number of errors in the future, as the objective truth is established;
- Disparate judicial practice regarding the issue of conditional release was highlighted;
- By comparison – by conducting a legal analysis, the existing system at the national level was compared with the models known at the international level, the peculiarities of the use of parole were highlighted in the light of the legal traditions and experiences of foreign countries, and others.

23 Padfield N., van Zyl Smit D. and Dunkel F., (2010). Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA, pg: 421.

BIBLIOGRAPHY:

Georgian language literature:

1. Collective of Authors., (2007). General part of criminal law, ed. c. Nachkibia, Tbilisi.
2. Christie N., (2017). The Limits of Pain, The Role of Punishment in Penitentiary Policy, First Georgian Edition, Tbilisi, "Sezani".
3. Mikanadze G., (2012). The right to parole of a prisoner, European experience and the reality of Georgia, in the book: K. Korkelia, Protection of human rights, achievements and challenges, collection of articles, Tbilisi.
4. Commentary of Constitution of Georgia. Collective of authors., (2013). Chapter two. Georgian citizenship. Basic human rights and freedoms,

Tbilisi, "Petit".

5. Khmaladze M., (2017). The issue of conditional release of convicts in foreign countries, information magazine for the project of the Prison Code of Georgia, Tbilisi.

Foreign language literature:

1. Dunkel F., (2010). Kommentierung §57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds.) Nomos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1 (3rd ed.).
2. Levy R., (2007). Pardons and Amnesties as Policy Instruments in Contemporary France (From Crime, Punishment, and Politics in Comparative Perspective) Michael Tonry, ed. – See NCJ-241880.
3. Padfield N., van Zyl Smit D. and Dunkel F., (2010). Release from Prison, European Policy and Practice, Willan Publishing, USA.

Normative material:

1. Prison Code of Georgia.
2. Criminal Law Code of Georgia
3. Juvenile Justice Code of Georgia
4. Order N320 of August 7, 2018 of the Minister of Justice of Georgia "On the review and decision-making procedure of the issue of parole from serving a sentence by the local councils of the special penitentiary service, a state sub-departmental institution included in the system of the Ministry of Justice of Georgia".

Recommendations:

1. Europe Committee of Ministers, Recommendation No. R (99)22, on Prison Overcrowding and Prison Population Growth, Preamble.
2. Committee of Ministers of the Council of Europe, Recommendation Rec (2003) 22, on parole, preamble.

Court decisions:

1. the Supreme Court of May 30, 2023, Nbs-283(K-23).
2. Tbilisi Court of Appeal dated September 11, 2019.
3. Decision of the Constitutional Court of Georgia on July 11, 2017, in the case "Georgian citizen Imeda Khakhutaishvili vs. Parliament of Georgia", paragraph II-10.
4. the Tbilisi City Court of October 20, 2021.
5. the Tbilisi City Court of June 30, 2022.
6. Decision N3/831-23 of April 27, 2023, of the Administrative Affairs Board of Tbilisi City Court.

Internet sites (addresses of web pages):

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=41>
4. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=257>

პირობით ვადამდე გათავისუფლება, როგორც სასჯელისაგან გათავისუფლების სპეციალური მექანიზმი თანამედროვე ქართულ სამართალში

მარიამ გელაშვილი

სამართლის დოქტორანტი, ასისტენტი სისხლის სამართლისა და სასჯელაღსრულების სამართლის მიმართულებით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება თანამედროვე ქართულ სამართალში არსებულ სასჯელისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ მექანიზმს – პირობით ვადამდე გათავისუფლებას, მასში განხილულია, მოცემული კანონით გათვალისწინებული, შეღავათის გამოყენების სამართლებრივი პრობლემები, რაც ემყარება პრაქტიკის ღრმა ანალიზსა და მცირე ოდენობის სამეცნიერო ნაშრომის კვლევას, ვინაიდან მოცემული საკითხი, ფაქტობრივად, სრულყოფილად გამოკვლეული არ არის და მეცნიერული კვლევის ინტერესის საგანი იშვიათად ყოფილა.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმზე, როგორც აუცილებელ და საჭირო ინსტრუმენტზე, მსჯელობა განაპირობა მარეგულირებელი კანონმდებლობის არასახარბიელო მდგომარეობამ, სასამართლოს მხრიდან არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობამ და ხსენებულ კონცეპტთან დაკავშირებით თანამედროვე ქართული იურიდიული ლიტერატურის სიმწირემ.

სტატია მიზნად ისახავს, მოხდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გააზრება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის მეცნიერულ კვლევის პროცესს, ამასთან, მიზნად ისახავს შემდგომ კვლევით მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას, შედარებასა და სინთეზირებას, მათ შორის გამოყენებით პრაქტიკაში დაშვებული შეცდომათა ანალიზსა და პირობით ვადამდე გათავისუფლების მომწესრიგებელ ნორმებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავებას.

სტატიის ცალკეულ თავში დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია როგორც ფორმალურ – ლოგიკური, ისტორიული, ფორმალურ – იურიდიული, დოგმატური, შედარებით – სამართლებრივი, აღწერილობითი და სისტემური მეთოდები.

სტატიაში მოცემული დასკვნები, დებულებები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს მოცემულ თემასთან მიმართებით დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, აგრეთვე, დარგში მომუშავე მომსახურეთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

საკვანძო სიტყვები: პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასამართლო პრაქტიკა, საპატიმრო სასჯელის ალტერნატივა, გადანაცვლებების დასაბუთების სტანდარტი

შესავალი

სახელმწიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციის კვალდაკვალ, რის საფუძველზეც ადამიანი მიჩნეულ იქნა უმაღლეს ღირებულებად, სასჯელის მიზნად განისაზღვრა არა ტკივილის მიყენება, არამედ რესოციალიზაცია, სამართლიანობის აღდგენა და ახალი

დანაშაულის თავიდან აცილება. ადამიანი თავად უნდა იყოს „მიზანი“ და არა მიზნის მიღწევის საშუალება.¹ შესაბამისად, სასჯელის აღსრულება არ უნდა იწვევდეს ტანჯვას და ტკივილის შემცირებისთვის მოძიებულ უნდა იქნეს სასჯელის ალტერნატივები, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაძლებელია საერთოდ აღარ გაგრძელდეს რეაგირება დანაშაულზე.² თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში სასჯელისაგან გამონეული ტკივილის შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად თანამედროვე ქართულ სამართალში შეიძლება ჩავთვალოთ პირობით ვადამდე გათავისუფლებაც, რომელიც მნიშვნელოვან კანონისმიერ შესაძლებლობას წარმოადგენს, რათა ბენეფიციარს ჰქონდეს მოტივაცია, მსჯავრდების შემდგომ პერიოდში, სრულად იყოს ორიენტირებული რესოციალიზაციის პროცესზე და, შედეგად, ჰქონდეს ამ მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის იმედი. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სასჯელისაგან გათავისუფლების სპეციალურ მექანიზმს საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია, მისი შემოღებიდან დღემდე საკმაო პერიოდი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მრავალი კითხვის ნიშანი გააჩინა, განსაკუთრებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის სათანადო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

საქართველოში დღეს არსებული რეალობა – შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის არასახარბიელო მდგომარეობა, აგრეთვე, არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობა აშკარად ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალობასაც. გამომდინარე აქედან, დიდ ინტერესს იწვევს პირობით ვადამდე გათავისუფლების ბუნებისა და რაობის გარკვევა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საზღვარგარე-

1 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი., (2013). თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, „პეტიტი“, გვ.109.

2 კრისტი ნ., (2017). ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, თბილისი, „სუზანი“, გვ.20.

თის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე, აგრეთვე, მეცნიერული კვლევის პროცესში გამოყენებით პრაქტიკაში დაშვებული შეცდომათა ანალიზი. კვლევის მიზნის მისაღწევად, ფორმულირებულია ამოცანა: მეცნიერთა მოსაზრებების შესწავლა და კითხვებზე პასუხის გაცემის გზით კვლევის მიზნის მიღწევა, ამასთან, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევა და რეკომენდაციების გაცემა მოქმედი კანონმდებლობის მოწესრიგება/სრულყოფის კუთხით.

თემის მეცნიერულ სიახლეზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

- წინამდებარე სტატია საკვლევია თემის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა და პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს;
- სტატიაში ჩამოყალიბებული იქნება პოზიცია შემდეგ საკითხზე: რამდენად შესაძლებელია კანონიერი წარმომადგენლის მიერ შეტანილი შუამდგომლობის საფუძველზე განხილული იქნას მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი;
- სტატიაში გაანალიზებული იქნება შეხედულება პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის საგამონაკლისო წესთან დაკავშირებით;
- შემოთავაზებული იქნება პოზიცია, რომელიც ეხება სამართლებრივი ნორმის შემოღების საკითხს საშელავათო ვადის დათვლის წესთან დაკავშირებით;
- შეფასებული იქნება, თუ რამდენად მიზანშეწონილია იმ პირის მიმართ, რომელმაც უკვე ისარგებლა კანონით გათვალისწინებული შეღავათით ადგილობრივი საბჭოს მხრიდან გათავისუფლდეს;
- გაანალიზებული იქნება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ დადებითად ან უარყოფითად შეფასებული კრიტერიუმების სიჭარბე/რაოდენობა უპირობოდ და ავტომატურად პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს;

- გაანალიზდება, თუ რამდენად წარმოადგენს მსჯავრდებულის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენება პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდგომ განსაკუთრებულ გარემოებას, რაც საშუალებას მისცემს საბჭოს 6-თვიანი ვადის დაუცველად განიხილოს ხსენებული საკითხი და ა.შ.

პირობით ვადამდე გათავისუფლების, როგორც სასჯელისაგან გათავისუფლების სპეციალური მექანიზმის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული რაკურსი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გადატვირთულობა და ციხის მოსახლეობის ზრდა მნიშვნელოვანი პრობლემაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისათვის, განსაკუთრებით, დაწესებულების ადმინისტრაციისთვის როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ისე სასჯელაღსრულების ინსტიტუტების ეფექტიანად მართვის კუთხით.³ ეს პრობლემა უბიძგებს სახელმწიფოს, იზრუნოს მსჯავრდებულთა გათავისუფლების ეფექტიანი პოლიტიკის განსაზღვრაზე, რათა შეზღუდოს ან შეამციროს პატიმრობის მაჩვენებლები. ამგვარი ინიციატივები დაფუძნებულია „წინა კარის“ ან „უკანა კარის“ სტრატეგიაზე, რაც გულისხმობს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ზრდით გამონვეულ მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას, („წინა კარის“ სტრატეგია) და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა რაოდენობის გაზრდას („უკანა კარის“ სტრატეგია).⁴ პირობით ვადამდე გათავისუფლების

3 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია No.R (99)22, ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა.

<<https://rm.coe.int/compendium-prison-over-crowding-georgian/16806ab9a8>> [ბოლო ნახვა: 11.10.2023].

4 Dunkel F.,(2010). Kommentierung §57 StGB, in U. Kindhauser, U. Neumann and H. Paeffgen (eds.) No-

ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და კონსტრუქციული ღონისძიებაა ხელახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უზრუნველყოფს დამნაშავის დაგეგმილ, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ რეინტეგრაციას.⁵

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ითქვას კიდევ, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება, არასაპატიმრო სასჯელის ერთ-ერთი სახის გარდა, წარმოადგენს მსჯავრდებულის ნახალისების ერთგვარ ფორმას, რაც ბენეფიციარს საშუალებას აძლევს სასჯელის დასრულებამდე რამდენიმე თვით ანდა წლით ადრე დატოვოს სასჯელაღსრულების დაწესებულება, გათავისუფლების მოტივაცია კი მსჯავრდებულს ეხმარება, სასჯელის მოხდის პერიოდში, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის მეშვეობით რესოციალიზდეს და პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ თავი შეიკავოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისაგან.

ადრე უცნობი სამართლებრივი მოდელი – პირობით ვადამდე გათავისუფლება დაამკვიდრა 1847 წელს ფრანგმა ა. ბონევილ დე მარსანჟიმ, რომელიც საწყის ეტაპზე გულისხმობდა მსჯავრდებულის გათავისუფლებას სასჯელის გარკვეული პერიოდის მოხდის შემდგომ, მომავალში დამაკმაყოფილებლად ქცევის პირობით. აღნიშნული დეფინიცია მცირეოდენი ცვლილებებით თითქმის ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია. ამხრივ საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. საქართველოში პირობით ვადამდე გათავისუფლების ოთხი სისტემა შეიცვალა. 2006 წლამდე პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მსჯავრდებულთა პირად საქმეს წარუდგენდა სასამართლოს. 2006 წლიდან

ეს ფუნქცია დაწესებულების დირექტორებს ჩამოერთვათ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შექმნილ კომისიას გადაეცა, რომელიც ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქციას ასრულებდა, განიხილავდა ყველა მსჯავრდებულის საქმეს, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საჭირო მინიმალური სასჯელის ვადა მოიხადა და იღებდა გადაწყვეტილებას, რომელი საქმე წარედგინა სასამართლოში საბოლოო განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა სასამართლოს რჩებოდა. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს 2009 წელს უკვე იხილავდა მუდმივმოქმედი კომისია. რაც შეეხება ადგილობრივ საბჭოებს, 2010 წლიდან იხილავენ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს. ამასთან, მოქმედებდა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც მაკონტროლებელ რგოლს წარმოადგენდა საბჭოსათვის. კერძოდ კი, სამ თვეში ერთხელ განეული საქმიანობის შესახებ მუდმივმოქმედი კომისიისათვის ანგარიშის წარდგენისა და მათ საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობის ვალდებულება დაუწესა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მუდმივმოქმედი კომისიის ფუნქცია, განეხილა იმ მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებსაც ადგილობრივი საბჭოების განხილვისას უარი ეთქვათ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე და მიეღო ადგილობრივი საბჭოებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, რაც ზემდგომი იურიდიული ძალის იყო და პირი დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ექვემდებარებოდა. 2014 წლიდან კი მუდმივმოქმედი კომისია გაუქმდა და საბჭო გახდა ადმინისტრაციული ორგანო.⁶ გამომდინარე აქედან, შეიძლება გამოვყოთ ცვლილებების ოთხი ეტაპი შემდეგი სახით:

1. 2006 წლამდე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი წარადგენდა მსჯავრდებულთა საქმეს

mos Kommentar zum Strafgesetzbuch. Vol. 1 (3rd ed.), S: 41.

5 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec (2003) 22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, პრეამბულა. <<https://rm.coe.int/compendium-prison-overcrowding-georgian/16806ab9a8>>

[ბოლო ნახვა: 15.10.2023].

6 მიქანაძე გ., (2012). პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლება ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბილისი, გვ.130-131.

- სასამართლოს წინაშე ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით;
2. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორებს 2006 წლიდან ჩამოერთვათ შუამდგომლობის წარდგენის უფლება. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, როგორც შუამავალი რგოლი სასამართლოსა და მსჯავრდებულს შორის. პატიმრობის კოდექსის 68-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულებს უფლება ჰქონდათ შუამდგომლობით მიემართათ მუდმივმოქმედი კომისიისთვის. ეს უკანასკნელი აფასებდა გარკვეულ გარემოებებს და იღებდა გადაწყვეტილებას პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე სასამართლოსათვის წარდგინების შესახებ.
 3. 2009 წლის სექტემბერში პირობით ვადამდე გათავისუფლების ეს მოდელიც გაუქმდა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაანაცვლა. ამ შემთხვევაში საკითხის განხილვის კომპეტენციამ დეპარტამენტიდან სამინისტროს დონეზე გადაინაცვლა იმ განსხვავებით, რომ საკითხის განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა მუდმივმოქმედი კომისია და არა სასამართლო.
 4. 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა ახალი პატიმრობის კოდექსი, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მოქმედი ეს სისტემა და შეიქმნა ადგილობრივი საბჭოები, რომელთაც მსჯავრდებულთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დაევალათ. ე.ი. სასამართლო რგოლი, ფაქტობრივად ამოვარდა მოცემული პროცესიდან, მან შეინარჩუნა მხოლოდ სააპელაციო ფუნქცია.

2018 წლიდან მსჯავრდებულები საშიშროების რისკის მიხედვით დაიყო და მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა პატიმრობის

კოდექსში. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ადგილობრივი საბჭოები აღარ იხილავენ მაღალი რისკის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს.⁷ ეს გარემოება კი წარმოადგენს ერთგვარ „ფილტრს“, რაც ადგილობრივ საბჭოებს აძლევს საშუალებას მათი მუშაობა იყოს უფრო ეფექტიანი და ორიენტირებული საზოგადოების უსაფრთხოების დაცვაზე.

ჩვენს კანონმდებლობაში არსებული პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა ავტომატური არ არის, რადგან კანონმდებლობა ერთმანეთს უხამებს ავტომატიზმსა და დისკრეციულ პირობითობას.⁸ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის წინაპირობაა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს მოხდელი ჰქონდეს კანონით გათვალისწინებული საშუავათო ვადა, რაც დამოკიდებულია დანაშაულის კატეგორიაზე, მსჯავრდებულის ასაკზე, პირობითი მსჯავრის პერიოდში დანაშაულის განხორციელებაზე და სხვა. ამას ადასტურებს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე⁹ მუხლითა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლით¹⁰ გათვალისწინებულია მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადები, რა დროსაც მსჯავრდებული მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენების შესაძლებლობას და არა გარანტიას იგი უპირობო გათავისუფლდეს. ბუნებაში არ არსებობს ისეთი სამართლებრივი დათქმა, რაც მითითებული საკითხის განხილველ ორგანოს – ადგილობრივ საბჭოს¹¹

7 პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=41>> [ბოლო ნახვა: 17.10.2023]

8 ავტორთა კოლექტივი., (2007). სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ნაჭყებია, თბილისი, გვ.412.

9 სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=257>> [ბოლო ნახვა: 17.10.2023].

10 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 95-ე მუხლი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=22>> [ბოლო ნახვა: 18.10.2023]

11 პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლი.

დაავალდებულებს თავისუფლებააღკვეთილ პირს საშელავათო ვადის მოხდის შემდგომ სასჯელის მოუხდელი ნაწილი პირობით ვადამდე გათავისუფლებით შეუცვალოს და ბენეფიციარი ავტომატურად გაათავისუფლოს. პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მსჯავრდებულებთან ერთად და მათი ინტერესების დამცველებსაც ჰგონიათ, რომ თუ თავისუფლებააღკვეთილმა პირმა ხსენებული ვადა მოიხადა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გათავისუფლების კუთხით შემდგომი რეაგირება განახორციელოს, რაც, როგორც აღინიშნა, სრულიად არ შეესაბამება მოქმედი საკანონმდებლო ნორმების დათქმების შინაარსს.

ლოგიკურია, ამ თემის პარალელურად გაჩნდება კითხვა, თუ როგორ ხდება საშელავათო ვადის დადგენა, არსებობს თუ არა ისეთი სამართლებრივი ჩანაწერი, რაც პირდაპირ განსაზღვრავს ვადის გამოთვლის შესაბამის წესებს. თუ გადავავლებთ თვალს კანონმდებლობას დავინახავთ, რომ ეს საკითხი საერთოდ არ არის რეგულირებული, ეს კი ხშირად აჩენს პრობლემებს პრაქტიკაში განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა განაჩენის მიხედვით ადგილი აქვს ჩათვლებს, კერძოდ, როცა მსჯავრდებულს ძირითად სასჯელის მოხდის ვადად ჩაეთვალა დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან, ამ საკითხთან მიმართებით გამოთვლას პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების თანამშრომლები ორი გზით აწარმოებენ, ნაწილი ჯერ მოსახდელ სასჯელს აკლებს ჩათვლას და შემდეგ ადგენს ფაქტობრივი მოხდის ვადას, ნაწილი კი ფაქტობრივი ვადის დადგენის შემდეგ აკლებს ჩათვლას, ეს კი საერთოდ სხვადასხვა მოცემულობას აჩენს, ვინაიდან დადგენილი დრო განსხვავებულია და ამ ორი მეთოდით სულ სხვადასხვა პერიოდი დგინდება. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს გამოთვლასთან მიმართებით თავისუფლებააღკვეთილი პირთა პრეტენზიებს, არაერთ

თგვაროვან პრაქტიკასა და გარკვეულწილად აღრევას მიზანშეწონილია, გაიწეროს შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, რაც მოაწესრიგებს აღნიშნულ პრობლემებს.

ადგილობრივი საბჭოებისათვის მიმართვის უფლების მექონე პირი პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში რამდენად შეიძლება იყოს მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენელი – მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მხრიდან ხშირად გამხდარა დავის საგანი. თუ ყურადღებით წავიკითხავთ და გავაანალიზებთ პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის¹² შინაარსს, დავინახავთ, რომ ამგვარი უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ მსჯავრდებულს გააჩნია. არც ორდერის და არც მინდობილობის საფუძველზე არ უნდა მოხდეს ზემოხსენებული საკითხის განხილვის მიზნით შუამდგომლობის გამოთხოვა პენიტენციური დაწესებულებიდან, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით რომ შესაძლებელი იყოს მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე მსჯელობა, ამას კანონმდებელი პირდაპირ განუთქმავს, ისე, როგორც დაარეგულირა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვის წესი, ე.ი. პირდაპირ იქნებოდა მითითება გაკეთებული შესაბამის ნორმაში უფლებამოსილ პირთა წრესთან დაკავშირებით.

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლით

12 პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?-publication=41> [ბოლო ნახვა: 17.10.2023].

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?-publication=41> [ბოლო ნახვა: 17.10.2023].

დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად:

ა) დანაშაულის ხასიათი – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;

ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიება იქნა გამოყენებული; აგრეთვე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას;

გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ნასამართლობა – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონია ადგილი; ასევე, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისათვის და რამდენჯერ იყო სანამართლევითი მსჯავრდებული;

დ) ოჯახური პირობები – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;

ე) მსჯავრდებულის პიროვნება – აღნიშნული კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის

მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.¹³ მსჯავრდებულთა შეფასება ხორციელდება თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღება უკვე შეფასებული კრიტერიუმების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. სწორედ მოცემული კრიტერიუმები იძლევა საშუალებას გაანალიზდეს რისკფაქტორები, რომელთა ანალიზით დავადგენთ – საზოგადოება რამდენად არის განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საფრთხის ქვეშ იმ კონკრეტული პირისაგან, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება. აქვე, ყურადღების მიღმა არ შეიძლება დარჩეს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანების მე-13 მუხლი არ განმარტავს თითოეულ შეფასების ნიშანს დეტალურად შინაარსობრივი თვალსაზრისით და არ საზღვრავს, თუ რა წარმოადგენს შესაბამის კრიტერიუმთან რელევანტურ გარემოებას. მსჯავრდებულის ქცევის შეფასებისას რელევანტურ გარემოებას შეიძლება წარმოადგენდეს – დისციპლინური სახდელის რაოდენობა, სიმძიმე,

13 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს N320 ბრძანება.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4289728?publication=0>> [ბოლო ნახვა: 09.10.2023].

ხასიათი და შინაარსი – რის გამო იქნა გამოყენებული აღნიშნული ღონისძიება, მათ შორის, ახალი დისციპლინური დარღვევა არის თუ არა ჩადენილი სახდელის სხვა სახდელის მოხდის გაქარწყლების პერიოდში; წამახალისებელი ღონისძიებები და ყველა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს მსჯავრდებულის ქცევასთან და სხვა. ამგვარი მითითება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს მხრიდან უმეტეს წილად განაპირობებს სამართლიანობის სტანდარტის დაცვასაც.

კვლევის პროცესში დაინტერესების საგანს წარმოადგენდა შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით ისეთი შემთხვევის გაანალიზება, თუ როგორ უნდა შეფასოს საბჭომ მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა, როცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს მსჯავრდებულის ნასამართლობის არქონა და, მის პარალელურად, ამ პირის მხრიდან წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტების არსებობა. ადგილობრივი საბჭოსათვის სახელმძღვანელო კრიტერიუმია არა მხოლოდ მოქმედი ნასამართლობა, არამედ წარსულში ჩადენილი დანაშაულიც, რაც იმას გულისხმობს, რომ საბჭო უფლებამოსილია შეაფასოს წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მაშინაც კი, როდესაც ნასამართლობა გაქარწყლებულია. სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა აღნიშნული ნორმა ვფიქრობ, იმგვარად არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ ადგილობრივ საბჭოს უფლება არა აქვს გამოიკვლიოს მსჯავრდებულის წარსულში ნასამართლობის ფაქტი და გაითვალისწინოს იგი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას. ნასამართლობის გაქარწყლება ან მოხსნა არ ცვლის წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, შესაბამისად, ეს გარემოება საბჭოს არ უნდა ბოჭავდეს, გაითვალისწინოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შევხებით პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდეგ 6-თვიანი ვადის დაუცველად შუამდგომლობის განხილვის საგამონაკლისო წესს. პატიმრობის კოდექსის 42 – ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა 6 თვეში ერთხელ. თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, საბჭო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე.¹⁴ მხედველობაშია მისაღები, თუ რას გულისხმობს მითითებული ჩანაწერი – „განსაკუთრებული გარემოება“ არც ერთ სახელმძღვანელო აქტში პატიმრობის კოდექსის მსგავსად არ არის განვრცობილი განსაკუთრებულ გარემოებათა ჩამონათვალი ან რაიმე სახის განმარტება, რაც ადგილობრივ საბჭოს საშუალებას მისცემს დადგენილი ვადის დარღვევით განიხილოს მსჯავრდებულის შუამდგომლობა. ესე იგი პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილში აღნიშნული კონცეპტი – „განსაკუთრებული გარემოება“ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ შეფასებით კატეგორიას. ვფიქრობ, საჭიროა, ამ თვალსაზრისით, გატარდეს შესაბამისი ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და მოცემული ნორმის „მკვდარ ჩანაწერს“ მისცეს ისეთი ახსნა, რაც ამ მიმართულებით პრაქტიკის განვითარებას ხელს შეუწყობს. ერთ – ერთ განსაკუთრებულ გარემოებად შეიძლება განხილული იქნება ის შემთხვევა, როცა სასამართლოს

14 პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=41>> [ბოლო ნახვა:09.10.2023].

მხრიდან ხდება ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მსჯავრდებულის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე. ამ შემთხვევაში ადგილობრივი საბჭო აღარ უნდა დაელოდოს დროს თუ როდის გავა უარის თქმის კანონმდებლობით დადგენილი 6-თვიანი ვადა და ვალდებულია აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. განსაკუთრებულ გარემოებასთან მიმართებით ასევე, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ თუ რამდენად წარმოადგენს მსჯავრდებულის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ მის მიმართ გამოყენებული წამახალისებელი ღონისძიებები ისეთ სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ადგილობრივ საბჭოს საშუალებას მისცემს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით განიხილოს ბენეფიციარის შუამდგომლობა. რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი საბჭოს მხრიდან მისასალმებელია, პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდეგ მსჯავრდებულის დადებითი ქცევის განვითარების დინამიკა, თუმცა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულის წახალისება მიმართა, არ წარმოადგენს ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევას რაც შეიძლება მოიხარებოდეს მისივე შინაარსში, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა არაერთხელ ექნება ადგილი როგორც თვით ამ თავისუფლება აღკვეთილი პირის, ისე სხვა მსჯავრდებულის შემთხვევაში, ხოლო მეორე იმიტომ, რომ ნაკლებადაა შესაძლებელი მსჯავრდებულის მხრიდან განხორციელებდეს ისეთი იშვიათი შემთხვევა, რაც მას განსხვავებს ინდივიდუალური გარემოებიდან გამომდინარე სხვა მსჯავრდებულისაგან. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია ადგილი ჰქონდეს მიზანმიმართულ და არა გააზრებულ პოზიტიური ქცევის გამოვლინებას, შესაბამისად, მოცემულ საკითხთან მიმართებით საბჭოს წევრებმა გადაწყვეტილება ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა კვალიფიციურ შეფასებაზე

უნდა დააფუძნონ. ვფიქრობ, ზემოხსენებული კონცეპტით დაინტერესებულ პირებს აღნიშნული მსჯელობა დაეხმარება კიდევ უფრო მეტად განავითაროს მეცნიერული კვლევის პროცესი და გაფართოვოს განსაკუთრებულ გარემოებათა ჩამონათვალი.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით

წინამდებარე თავში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი განხილული იქნება მხოლოდ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შერჩეულია მხოლოდ იმ საქმეთა ნაწილი, სადაც გამოვლენილია მცირე ხარვეზები, ეს ემსახურება არა სასამართლოს კრიტიკას ანდა გაკიცხვას, არამედ სამომავლოდ დარღვევათა აცილების, არაერთგვაროვანი პრაქტიკის თავიდან აცილებას, შეცდომათა რაოდენობის შემცირების პროცესს, რადგან დადგენილ იქნას საქმეზე ობიექტური ქვეყნობა.

ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნებაზე მეტყველებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ოქტომბრისა¹⁵ და 2022 წლის 30 ივნისის¹⁶ გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია ერთი და იგივე პირის მიმართ, იდენტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, ერთ შემთხვევაში მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბენეფიციარის სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში არ დააკმაყოფილა, დასაბუთების ნაწილიც ისეა არგუმენტირებული განსაკუთრებულ სხვაობას ვერც კი შეამჩნევს მათი კითხვისას ობიექტურად მოაზროვნე პირი. არგუმენტაცია, რომ ეს მო-

15 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 20 ოქტომბრის N3/1134-21 გადაწყვეტილება.

16 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის N3/3128-22 გადაწყვეტილება.

სამართლის შინაგანი რწმენით იყო ნაკარნახევი, საკმარის დასაბუთებას მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს. მიზანშეწონილია, მსგავსი გარემოებების არსებობისას სასამართლო პრაქტიკა ისე განვითარდეს, რომ რაღაც საერთო სტანდარტი ჩამოყალიბდეს და ადგილი არ ჰქონდეს არაერთგვაროვან გადაწყვეტილებათა მიღებას. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ, შემდეგ გარემოებას: ნ.ჩ – გასამართლებულია საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა შემდეგში: ი. ყ.-მ განიზრახა რა მისი დედისთვის ლ. ყ.-სთვის განსაკუთრებული ტკივილი მიეყენებინა და მოეკლა იგი, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დახმარება სთხოვა მეგობრებს: ბ.შ.ს და არასრულწლოვან ნ.ჩ.-ს და მათთან ერთად დაგეგმა ლ.ყ.-ს მკვლელობა. 2016 წლის 19 ოქტომბერს, თბილისში, რუსთაველის გამზირში მდებარე სუპერმარკეტ „სმარტში“ ბ.შ., ი.ყ. და ნ.ჩ. შეთანხმებისამებრ შეხვდნენ ერთმანეთს, რა დროსაც დააზუსტეს ლ.ყ.-ს მკვლელობის დეტალები, ამასთან, დანაშაულის მსხვერპლის სხეულის ნაწილების მოთავსების, გადამალვისა გადაადგილების მიზნით, შეიძინეს პოლიეთილენის პარკები, შემდეგ ისინი ავტომანქანით გაემართნენ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე N5/41-ში მდებარე ბინაში, სადაც ლ.ყ. მარტო იმყოფებოდა. ლ.ყ.-მ მათ კარი გაუღო და სახლში შეუშვა. ამის შემდეგ ბ.შ.-მ, შეთანხმებისამებრ, ლ.ყ.-ს პირისა და ცხვირის არეში მაგრად მოუჭირა ხელი და შეეცადა მის მოგუდვას. ამავდროულად ი.ყ.-მ და ნ.ჩ.-მ ლ.ყ.-ს გაუკავეს ხელ-ფეხი და არ აძლევდნენ მოძრაობის საშუალებას. ამის შემდეგ ბ.შ.-მ მას საფეთქლის არეში რამდენჯერმე დაარტყა დანა, რის შედეგადაც ლ.ყ. ძირს დაეცა. უგონო მდგომარეობაში მყოფს ბ.შ.-მ, ი.ყ.-მ და ნ.ჩ.-მ წებოვანი ლენტით ხელ-ფეხი შეუკრეს, მოათავსეს ჩანთაში და ავტომანქანით გადაიტანეს ქ. თბილისში, ვეძისის მე-4 გასასვლელის N4-ში მდებარე ბ.შ.-ს მიერ ნაქირავებ ბინაში, სადაც ნ.ჩ.-მ და ი.ყ.-მ ლ.ყ.-ის სხეული ხერხის გამოყენებით დაანაწევრეს. კერძოდ, ჯერ მოაჭრეს თავი, ზედა კიდურების თითები, ზედა და ქვე-

და კიდურები, ხოლო ბ.შ.-მ ამოაჭრა გული და ღვიძლი. დანაწევრებული სხეულის ნაწილები მათ მოათავსეს პოლიეთილენის პარკში და ავტომანქანით გადაიტანეს ქ. თბილისის შემოვლითი გზის მე-13 კილომეტრზე, ყოფილი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, სადაც არსებულ ორმოში ჩააგდეს, დაასხეს ბენზინი და დაწვეს. 2020 წლის 03 დეკემბერს, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მსჯავრდებულის მხრიდან გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა 2021 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ ადგილობრივმა საბჭომ საკითხის განხილვისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სხვა პიროვნული მახასიათებლები, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ნახალისებულის ფაქტი, თუმცა ყურადღება გაამახვილა დანაშაულის ხასიათზე, სახეზე იყო ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, კერძოდ კი, განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის შესახებ საკითხის განხილვისას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა იქონია ჩადენილმა დანაშაულის ხასიათმა, ქმედების განხორციელების ხერხმა და დანაშაულის შედეგად დამდგარმა შედეგმა. შესაბამისად, საბჭომ მოცემულ ეტაპზე მიიჩნია, რომ ამ კრიტერიუმის თანხლები ნეგატიური მოსაზრებები ვერ გააბათილა და ვერ გადანონა სხვა დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ ჰქონია ადგილი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლების გადაცილებას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოცემულ შემთხვევაში განმხილველი საბჭოს შეფასება სრულად შეესაბამებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვე-
უნყებო დაწესებულებების – სპეციალური პე-
ნიტენციური სამსახურის ადგილობრივი
საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პი-
რობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის
განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების
წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს
N2320 ბრძანებით დამტკიცებული წესით და-
დგენილ მოთხოვნებსა და გასაჩივრებული
გადაწყვეტილება გამოცემული იყო კანონის
მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად არ არ-
სებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის
საფუძველი. ასევე, 2022 წლის 01 აპრილის
გადაწყვეტილებით მსჯავრდებულს უარი
ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლება-
ზე. უარყოფითი გადაწყვეტილება დაეფუძნა
დანაშაულის ხასიათს, მოტივს, ხერხს და
დანაშაულის შედეგად დამდგარ შედეგს. გა-
რდა ამისა, გათვალისწინებული იქნა ის გა-
რემოება, რომ არ იქნა წარმოდგენილი და-
ზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია.
აღნიშნული სამართლებრივი აქტი გასაჩივ-
რდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს
2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩე-
ლის სასარჩელო მოთხოვნა და განმხილ-
ველ ადგილობრივ საბჭოს დაევალა ახალი
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
გამოცემა მსჯავრდებულის მიმართ. სასამა-
რთლომ ერთის მხრივ გაიზიარა საბჭოს გა-
ნმარტება ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა
და სიმძიმესთან მიმართებაში, თუმცა განმა-
რტა, რომ საკითხის შეფასებისას უპირველს
ყოვლისა მნიშვნელოვანია სათანადო შე-
ფასება მიეცეს მსჯავრდებულის პიროვნულ
მახასიათებლებს. ასევე, სასჯელის მიზნის
მიღწევადობას და მსჯავრდებულის რესოცი-
ალიზაციის საკითხებს.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი
შემთხვევებიც, როცა მართლმსაჯულების გა-
ნმხორციელებელი ორგანოდან სრულიად
დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები იქნა
მიღებული ადგილობრივი საბჭოს გამოტა-
ნილ შედეგებთან, რომელიც უშუალოდ ეხება
მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავი-
სუფლებას. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის
27 აპრილის გადაწყვეტილებას, რომლითაც
დ.ქ.-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-
და. დ.ქ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლე-
ბის საკითხის განხილვისას საბჭო გაეცნო
დაზარალებულის პოზიციას მსჯავრდებულის
მიმართ კანონით გათვალისწინებული შელა-
ვათის გამოყენების თაობაზე, გაითვალისწი-
ნა მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის
პერიოდში, გარემოება რომ ნახალისებულია.
თუმცა, ყურადღება გაამახვილა დანაშაულის
ხასიათზე. მსჯავრდებულის მიერ განხორცი-
ელებულია ადამიანის უფლებებისა და თავი-
სუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანა-
შაული – თავისუფლების უკანონო აღკვეთა,
რასაც ადასტურებს ჩადენილი დანაშაულის
ხერხი, კერძოდ კი გარემოება, რომ ქმედება
ჩადენილია ჯგუფურად, ე.წ. „ხამუთების“ გამო-
ყენებით ხელ-ფეხი შეუკრეს დაზარალებულს.
დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებე-
ლი გარემოებაა ის, რომ ქმედება ჩადენილია
წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ასევე,
ის ფაქტი, რომ დანაშაული განხორციელებუ-
ლია სიცოცხლის მოსპობის მუქარით. ბრა-
ლის ფორმის მიხედვით დანაშაულის ჩადე-
ნა მოხდა პირდაპირი განზრახვით. რაც იმას
ნიშნავს, რომ დ.ქ.-ს გაცნობიერებული ჰქო-
ნდა, რომ ჩადიოდა უკანონო თავისუფლების
აღკვეთას. აქვე უნდა აღინიშნოს, ის მიზანი
და მოტივი, რაც თან ახლავს თავისუფლე-
ბის უკანონო აღკვეთას, რომელიც გამოიხა-
ტა დიდი ოდენობით ფულადი თანხის გამო-
ძალვაში. შესაბამისად, იმ მომენტისათვის
საბჭომ მიიჩნია, რომ იუსტიციის მინისტრის
N320 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერი-
უმების თანმხლები ნეგატიური მოსაზრებე-
ბი ვერ გააბათილა და ვერ გადაწონა სხვა
დადებითი კონტექსტის კრიტერიუმებმა. ამ
ფაქტობრივი გარემოებების ფონზე კი მოსა-
მართლომ დ.ქ.-ის სასარჩელო მოთხოვნა ნა-
წილობრივ დააკმაყოფილა იმ დასაბუთებით,
რომ დაზარალებული დ.ქ. პატიობს მის მი-
მართ ჩადენილ არაკანონიერ ქმედებას და
მასთან პრეტენზია არ გააჩნია.¹⁷ აქ, მოსამა-

17 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 27 აპრი-

როდესაც უკუაგდო საბჭოს სახელმძღვანელო სტანდარტით განსაზღვრული კრიტერიუმები და წინა წლანზე წამოწია საქმეში არსებული დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, იმ ფონზე, როცა დაზარალებულის პოციზია საერთოდ არ არის ხსენებული აქტით დადგენილი შეფასებითი ნიშანი, რა თქმა უნდა ეს პოციზია არ უნდა გავიგოთ, ისე თითქოს, მნიშვნელობა არ აქვს მსხვერპლის აზრის გაგებას, თუმცა მხოლოდ ამ საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება სრულიად უსაფუძვლოა, ამასთან, არ არსებობს არც ერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც ხსენებული დამატებითი სახის მასალას წარმოადგენს მსჯავრდებულის გათავისუფლების უპირობო მიზეზად. „სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე.“¹⁸ გამომდინარე აქედან, საბჭოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაც მიმართული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის მიზნების მიღწევისაკენ.

რაც შეეხება ზემდგომ ინსტანციაში არსებულ პრაქტიკას, ვითარება გვესახება შემდეგნაირად: სააპელაციო სასამართლო იშვიათად ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, უცვლელად დატოვების სამართლებრივ შეფასებაში ძირითადად აღნიშნულია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებები სწორად შეფასებულია და გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა ეჭვს არ იწვევს. საგამონაკლისო წრეშია შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ნოემბრის №3/6450-19 გადაწყვეტილების ცვლილება, რომლითაც მსჯავრდებულის სარჩელი სრუ-

ლად დაკმაყოფილდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადგილობრივი საბჭოს საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმის ხელახლა განხილვა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის ფონზე.¹⁹

საკასაციო სასამართლოს შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პრაქტიკა რამოდენიმე თვეა რაც დაინერგა სასჯელადსრულების სისტემაში, ამ ეტაპისთვის უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებათა უმრავლესობა ეხება სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებაზე კასატორის საჩივრის განუხილველად დატოვებას, ასეთია, თუნდაც უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის განჩინება, რითიც ე.ე.-ის საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა საკასაციო სასამართლომ და განჩინება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60, 396-ე, 399-ე მუხლების გამოყენებით გამოიტანა.²⁰

პირობით ვადამდე გათავისუფლების შედარებით – სამართლებრივი დახასიათება

მოცემულ თავში მოხდება საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი ტრადიციებისა და გამოცდილების ფონზე პირობით ვადამდე გათავისუფლების გამოყენების თავისებურებების განხილვა.

პირობით ვადამდე გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების აქტიურად გამოყენებისა-

ლის N3/831-23 გადაწყვეტილება.

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10 პუნქტი.

19 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 11 სექტემბრის №3ბ/295-19 გადაწყვეტილება.

20 უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №ბს-283(კ-23) განჩინება.

დმი დამოკიდებულება დღითიდღე დადებითისაკენ იცვლება, სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება, შეინყალოს მსჯავრდებულები, ევროპის ბევრ სახელმწიფოში რჩება მსჯავრდებულთა ვადამდე გათავისუფლების ყველაზე ეფექტიან საშუალებად. მასობრივი შეწყალების პროცესი კვლავაც რეალობაა. მათი გამოყენება განსაკუთრებით აღინიშნება როგორც დიდი პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში (მაგალითად, როგორც იყო კომუნისტური შემდგომი ცვლილებების პერიოდი აღმოსავლეთ ევროპაში), ისე ჩვეულებრივ მექანიზმად მსჯავრდებულთათვის სასჯელის შესამსუბუქებლად, ან, სულაც, გასათავისუფლებლად (მაგალითად, საფრანგეთში).²¹

Based on the conclusions, the following recommendations can be drawn: the title of Article 199 of the Code of Civil Procedure requires a change of wording. It is appropriate to formulate it in the following way: "Securing compensation for anticipated losses by groundless claim and unjustified provisional remedy". The third and fourth sentences with the following content should be added to the first part of the mentioned article: "The type and amount of the guarantee required for the claimant in favour of the defendant is determined based on the discretion of the court, taking into account the principle of equality of the parties. While applying the court for provisional remedy or for securing the court decision, the claimant has the right to offer the court, on its initiative, a guarantee of anticipated losses to the defendant, which does not constitute an unconditional basis for granting the provisional remedy".

<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25a> [Last accessed: 05.12.2023].

64 Hunt v Ubhi [2023]. EWCA Civ 417.

65 SCF Tankers Ltd v Privalov & ors [2018]. 1 WLR 5623.

BIBLIOGRAPHY:**Normative sources:**

1. Constitution of Georgia (24/08/1995), Parliamentary Gazette.
2. Civil Code of Georgia (26/06/1997), Parliamentary Gazette.
3. Civil Procedure Code of Georgia (14/11/1997), Parliamentary Gazette
4. Universal Declaration of Human Rights (10/12/1948), UN General Assembly.
5. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (4/11/1950), Council of Europe, Rome.
6. International Covenant on Civil and Political Rights (16/12/1966), UN General Assembly.

Scientific sources:

1. Titberidze, G., (2017). Law of Georgia “On Arbitration”, Commentary. Tbilisi: Publishing House – JSC “Printed Word Combine”.
2. Liluashvili, T., Khrustal, V., (2007). Commentary on the Civil Procedure Code of Georgia (second edition). Tbilisi: “Samartali” publishing house.
3. Liluashvili, T., Liluashvili, G., Khrustali, V., Samabashvili, Z., (2014). Civil Procedure Law, Part I. Tbilisi: “Samartali” publishing house.
4. Liluashvili, T., Liluashvili, G., Khrustali, V., Samabashvili, Z., (2023). Civil Procedure Law. Part II, Tbilisi: “Meridiani” publishing house.
5. Dzierishvili, Z., (2018). Cross-undertaking as to Damages Resulting from Provisional Remedy. Journal of Law, N1, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, p. 5-22.
6. Qurdadze, Sh., Khunashvili, N., Tskitishvili, M., Akhaladze, M., Kublashvili, M., Qudadze, G., (2022). Commentary on the Code of Civil Procedure (Book I). Tbilisi: “Meridiani” publishing house.
7. Qurdadze, Sh., Khunashvili N., (2015). Civil Procedure Law of Georgia (second edition). Tbilisi: “Meridian” publishing house.
8. Sakvarelidze, K., (2021). Abuse of rights and obligations of the parties in the civil process. Dissertation for the academic degree of Doctor of Laws. Tbilisi: East European University.
9. Chanturia, L., (2017). Commentary on the Civil Code. Book I, General Provisions of the Civil Code. Chanturia, L., (editor), Tbilisi.
10. Khunashvili, N., (2016). The principle of good faith in contract law. Tbilisi: “Bona Kausa” publishing house.

Sources in foreign language:

1. Bürgerliches Gesetzbuch (BGB). German Federal Law gazette. <<http://www.gesetze-im-internet.de/bgb/BJNR001950896.html>> [Last accessed: 23.11.2023].
2. Zivilprozessordnung (ZPO). German Federal Law gazette. <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html> [Last accessed: 04.12.2023].
3. Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 9.07.2007, II 95/06. <<https://openjur.de/u/77182.html>> [Last accessed: 23.11.2023].
4. Baumgärtel, G., Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZfP. 1956.
5. Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 13.10.2016 – IX ZR 149/15. <<https://>>

- openjur.de/u/2110901.html> [Last accessed: 05.12.2023].
6. Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 21.12.2005 – X ZR 72/04. <<https://openjur.de/u/81501.html>> [Last accessed: 05.12.2023].
 7. Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 02.11.1995 – IX ZR 141/94. <<https://openjur.de/u/2110901.ppdf>> [Last accessed: 05.12.2023].
 8. Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 10.07.2014 – I 249/12. <<https://openjur.de/u/754168.html>> [Last accessed: 05.12.2023].
 9. Konzen, H., Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Studien zur Wechselwirkung von Zivil – und Prozeßrecht bei der Bewertung und den Rechtsfolgen prozeßerheblichen Parteiverhaltens. Berlin: Duncker & Humblot, 1976.
 10. Paulus, C., (2016). Zivilprozessrecht, Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europaisches Zivilprozessrecht, 6. Auflage. Berlin: Springer.
 11. Stichelbrock, B., (2002). Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess. Köln: O. Schmidt.
 12. Yeazell, S., Schwartz, J., (2019). Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer.
 13. Le Floch, G., (2021). Requirements for the Issuance of Provisional Measures. Provisional Measures Issued by International Courts and Tribunals. Palombino, F., Virzo, R., and Zarra, G. (eds.). The Hague: Asser Press.
 14. Hunt v Ubhi [2023]. EWCA Civ 417.
 15. SCF Tankers Ltd v Privalov & ors [2018]. 1 WLR 5623.
 16. Practise Direction 25A – Interim Injunctions. <https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25a> [Last accessed: 05.12.2023].
 17. 2e Chambre civile 15 mai 2014, pourvoi n°13-16016, BICC n°809 du 15 octobre 2014 et Legifrance.
 18. 2e Chambre civile 29 janvier 2004, BICC n°596 du 15 avril 2004.
 19. Zeiss, W., Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten, NJW, 1967.

Court decisions:

1. Decision N3/3/600 of the Constitutional Court of Georgia dated May 17, 2017, in the case “Citizen of Georgia Kakha Kukava vs. Parliament of Georgia”, II-48.
2. Decision N 1/3/1377 of the Constitutional Court of Georgia dated June 17, 2022.
3. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of December 16, 2019, on the case: No. as-1609-2019.
4. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of April 11, 2017, on the case: No. 450-422-2017.
5. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of March 6, 2017, on the case: No. 28-25-2017.
6. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of October 21, 2016, on the case: No. 958-923-2016.
7. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of November 2, 2016, on the case: No. 956-921-2016.
8. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of November 6, 2015, on the case: No. 929-879-2015.
9. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of November 25, 2015, on the case: No. 1165-1095-2015.

10. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of Georgia of July 28, 2015, in the case: No. 759-718-2015.
11. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of Georgia dated October 6, 2014, on the case: No. 1135-1082-2013.
12. Ruling of the Supreme Court of Georgia (Chamber of Civil Cases) of Georgia of June 13, 2011, on the case: No. 832-884-2011.

Electronic sources:

1. Akhaladze, M., (2020). Ensuring the enforcement of the claim/decision in the practice of the Supreme Court of Georgia. Supreme Court of Georgia. <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sarchelis-gadawyvetilebis-agrulebis-uzrunvelyofa.pdf>> [23.11.2023].
2. Guiding Principles on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial – Civil Legal Aspects, (2017). Council of Europe/European Court of Human Rights. <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/konvencis-me6-muxli.pdf>> [Last accessed: 23.11.2023].
3. Schnitger, H., (2020). Claim for damages arising from unjustified security, N.10. German Society for International Cooperation – GIZ. <<http://lawlibrary.info/ge/books/CLS-2020.pdf>> [Last accessed: 23.11.2023].

მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის პრობლემა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის საპირწონე ინსტიტუტები

ხათუნა სხირტლაძე

სამართლის დოქტორანტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აბსტრაქტი

დამდგარი ზიანის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული მის წინასწარ უზრუნველყოფაზე, თუმცა კანონი იძლევა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების წინასწარი უზრუნველყოფის შესაძლებლობას. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ინსტიტუტი მოპასუხის უფლებების დაცვის საპროცესო გარანტიების სისტემაში წარმოადგენს ერთ-ერთ ინსტიტუტს. დოქტრინასა და პრაქტიკაში ზოგჯერ აქცენტი გადააქვთ უკვე დამდგარ ზიანზე და, შესაბამისად, მას „გაუმართლებელი უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტსაც“ უწოდებენ. რეალურად კი საპროცესო კანონით განსაზღვრულია მოსალოდნელი ზარალის და არა უკვე დამდგარი ანუ დადასტურებული ზიანის უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული ინსტიტუტის არსისადმი არასწორ მიდგომას ზარალისა და ზიანის ცნებების აღრევაც იწვევს.

მოსალოდნელი ზარალის და დამდგარი ზარალის ანაზღაურების კრიტერიუმები და წესი განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. დამდგარ ან მოსალოდნელ ზიანთან მიმართებით უფრო სწორი იქნება საუბარი იყოს არა თავისთავად მართოდენ გაუმართლებელი უზრუნველყოფით, არამედ უსაფუძვლო სარჩე-

ლის აღძვრით მიყენებული ზიანის მოპასუხისათვის ანაზღაურებაზეც. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ გაუმართლებელი უზრუნველყოფით, არამედ გაუმართლებელი სარჩელით მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფას. არა მარტო უსაფუძვლო უზრუნველყოფით, არამედ უსაფუძვლო სარჩელით მოპასუხეს შეიძლება წარმოეშვას სხვადასხვა ხარჯი, დაკარგოს შემოსავალი. უსაფუძვლო სარჩელის აღძვრით მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებლობაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმდენად, რამდენადაც საკუთრივ უზრუნველყოფის ღონისძიება, ჯერ ერთი, სავარაუდო ფაქტებს ეფუძნება, მეორეც, მხოლოდ ერთ-ერთი საპროცესო მოქმედებაა მოპასუხის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებს შორის.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც და ამ ღონისძიების გამოყენების შედეგად მოპასუხისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიაც ქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას და, შესაბამისად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფეროს ნაწილს.

კანონის და სამართლის წინაშე მხარეთა თანასწორობის, აგრეთვე, მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელესაც აქვს უფლება საერთო სასარჩელო (სასამართლო) წესით მოითხოვოს ზიანის ყველა იმ პირისაგან ანაზღაურება, რომელთაც არამართლობიერი მოქმედებებით შეუშალეს ხელი სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების აღსრულებას.

საკვანძო სიტყვები: სარჩელის უზრუნველყოფა, მოსალოდნელი ზარალი, ზიანი, ანაზღაურების უზრუნველყოფა, თანაზომადობა

შესავალი

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ მოსარჩელის დაცვის მექანიზმად. მასში თავმოყრილი დანაწესები ითვალისწინებენ სასამართლოს მთელ რიგ საპროცესო მოქმედებებს (საპროცესო მოქმედებების სისტემას), რომლებიც არამარტო სასამართლო აქტის აღსრულებას უზრუნველყოფენ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არამედ მოპასუხის დაცვასაც. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტაც (რასაც საპირისპირო საპროცესო უზრუნველყოფა შეიძლება ეწოდოს),¹ რამეთუ უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოპასუხის ინტერესებს.² შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი წყდება მხარეთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით (უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფით).³

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ან არაკეთილსინდისიერად აღძრული სარჩელით მოპასუხეს არ უნდა მიადგეს ზიანი და თუ მიადგება, უნდა ანაზღაურდეს.⁴ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველთვის უნდა არსებობდეს მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ აღმოჩნდება გამართლებული.⁵ შესაბამისად,

1 კვლევაში ამავე მნიშვნელობით არის გამოყენებული შემხვედრი უზრუნველყოფის კატეგორია; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 199.

2 Yeazell, S., Schwartz, J., (2019). Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, გვ. 316.

3 Le Floch, G., (2021). Requirements for the Issuance of Provisional Measures. Provisional Measures Issued by International Courts and Tribunals. Palombino, F., Virzo, R., and Zarra, G. (eds.). The Hague: Asser Press, გვ. 47-48.

4 ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცქიტიშვილი, მ., ახალაძე, მ., კუბლაშვილი, მ., ქუდაძე, გ., (2022). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (წიგნი I). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 256-257.

5 მნიტგერი, ჰ., (2020). გაუმართლებელი უზრუნ-

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია.⁶

სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 191-ე მუხლის მიზნებს და ამასთან, მოპასუხის უფლებებში ჩარევა, მოპასუხისთვის დაწესებული შეზღუდვა, გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი.⁷ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მოპასუხეს საკმაოდ ძლიერად და ჯერ კიდევ იმ ეტაპზე იცავს, როდესაც წყდება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი. უპირველესად იცავს იმით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მოითხოვს თანაზომადობის დაცვას.⁸ პროპორციულობის/თანაზომადობის დაცვის აუცილებლობას ვერ შეცვლის მოსარჩელისათვის იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის დაწესება, რომელიც შესაძლოა განიცადოს მოპასუხემ ე.წ. გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პროპორციულობა დაცული უნდა იქნეს ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელემ ნებაყოფლობით უზრუნველყო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სსსკ-ის 199-ე მუხლიდან გამომდინარე. ამიტომ,

უზრუნველყოფის ღონისძიება ნებისმიერ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის თანაზომადი უნდა იყოს.⁹

თანაზომადობის/პროპორციულობის დარღვევა უზრუნველყოფის ღონისძიების მართლობიერების ტესტია და მისი სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია, აღნიშნული მოთხოვნის დაცვის აუცილებლობაზე ყურადღება მახვილდება იურიდიულ ლიტერატურაშიც.¹⁰ თანაზომადობის მოთხოვნის დამრღვევი სასამართლოა და არა მოპასუხე. ამ უკანასკნელს სამომავლოდ თანაზომადობის იმპერატივის დარღვევისათვის კი არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, არამედ იმისთვის, რომ გაუმართლებელი აღმოჩნდა მის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფა.¹¹

შემხვედრი უზრუნველყოფის ინსტიტუტის მნიშვნელობის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხზე არსებული ქართული ლიტერატურა და პრაქტიკა მწირია.¹² გამოსაკვლევია ზარალისა და ზიანის კატეგორიები, განსაზღვრას მოითხოვს მოსალოდნელი ზარალის ოდენობის კრიტერიუმი, მოსალოდნელი ზარალის სასამართლოს ინიციატივით უზრუნველყოფის შესაბამისობა დისპოზიციურობის პრინციპთან, საპროცესო შიკანის საფრთხე შემხვედრი უზრუნველყოფისას. ამასთანავე, განხილული იქნება აღნიშნულ საკითხთან

ველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, N.10. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება – GIZ, გვ. 13. <<http://lawlibrary.info/ge/books/CLS-2020.pdf>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

6 ქურდაძე, მ., ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 352.

7 ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 351.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე: Nას-1609-2019.

9 ძლიერიშვილი ზ., (2018). სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი, N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 8.

10 ახალაძე, მ., (2020). სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო, გვ. 84. <<https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sarchelis-gadawyvetilebis-agrsulebis-uzrunvelyofa.pdf>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

11 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 199, მესამე ნაწილი.

12 სამეცნიერო სტატიის დონეზე არსებობს მხოლოდ ერთი კვლევა, იხ. ძლიერიშვილი ზ., (2018) სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი, N1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 5-22.

მიმართებით საერთაშორისო პრაქტიკაც. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს კვლევის აქტუალობას. შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების მომწესრიგებელი ნორმა (სსსკ-ის 199-ე მუხლი) ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს აღნიშნული მექანიზმის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით, ან მოპასუხის შუამდგომლობით ხდება. გამოსაკვლევია, დასაშვებია თუ არა შემხვედრი უზრუნველყოფის ანუ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოსარჩელის მიერ შეთავაზება.

მხარეთა ინტერესების დაცვის გარანტიები სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმში

საკვლევი სამართლებრივი ინსტიტუტის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამავე კოდექსის 199-ე მუხლის კომპლექსური აღქმა, ვინაიდან მხარის (მოსარჩელის) უფლებას, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, უპირისპირდება მოპასუხის ინტერესი – თავი დაიცვას ზიანის მომტანი უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან.¹³ მაშასადამე, ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელისა და მოპასუხის ლეგიტიმური, ანგარიშგასაწევი ინტერესები,¹⁴ რომელთა გონივრული დაბალანსებაც სასამართლოს უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა. საჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნს, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, შეიძლება დაეკისროს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.¹⁵ შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილე ორივე მხარის ინტერესებს – მოპასუხეს უნდა ჰქონდეს შე-

საძლებლობა დააზღვიოს უზრუნველყოფის ღონისძიებიდან მომდინარე ქონებრივი ზიანი, ხოლო მოსარჩელისათვის დადგენილი მოთხოვნები უნდა იყოს გონივრული და მას აძლევდეს რეალურ შესაძლებლობას, მოახდინოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი დეტალურად განმარტავს ამ მექანიზმის გამოყენების პროცედურას, რაც წარმოადგენს მოპასუხის უფლებების დაცვის და, ამით კი, თანაზომადობის უზრუნველყოფის დამატებით გარანტიას.¹⁶

სარჩელის უზრუნველყოფა უკავშირდება მოპასუხის უფლებების შეზღუდვას, რამაც, როგორც შედეგი, შესაძლოა ამ უკანასკნელის ინტერესების დაზიანებაც გამოიწვიოს. საუბარია შესაძლო ზიანზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება, თუ მოპასუხე მეწარმეა. სასამართლოს მიერ გამოყენებულმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ უნდა შეაფერხოს ამგვარი სუბიექტის ნორმალური სამეწარმეო საქმიანობა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითა და მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპის საფუძველზე ითვალისწინებს კანონი მოპასუხის ინტერესების დაცვის გარანტიებს. ამ გზით ბალანსდება სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი.¹⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ყველა (მოცემული კვლევის მიზნებისთვის, მოსარჩელე და მოპასუხე) თანასწორია სამართლის წინაშე, რაშიც სასამართლოს წინაშე თანასწორობაც იგულისხმება, თუმცა კი, კონსტიტუციაში სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის თაობაზე პირდაპირი დანაწესი ასახული არ არის,¹⁸ რაც მისი ერთგვარი ნაკლია. საკუთ-

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: N 1/3/1377.

14 ლილუაშვილი, თ., ლილუაშვილი, გ., ხრუსტალი, ვ., ძლიერიშვილი, ზ., (2023). სამოქალაქო საპროცესო სამართალი. II ნაწილი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 82.

15 იქვე.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე: Nას-1609-2019.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე: Nას-1165-1095-2015.

18 საქართველოს კონსტიტუცია (24/08/1995), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მე-11 და 62-ე; მუხლები; გზამკვლევი პრინციპები ადა-

რივ დავის საგნად ქცეული საკითხების სასამართლოში გადაწყვეტა კი, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საწყისებზე ხორციელდება.¹⁹ კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული (რაშიც საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და პრინციპები იგულისხმება) უფლებები და თავისუფლებები საქართველოში უშუალოდ მოქმედი სამართალია. ეს ნიშნავს, რომ მათი გაშუალება არ ხდება რაიმე აქტით, მათ ასამოქმედებლად არ არის საჭირო დამატებითი აქტების მიღება სახელმწიფოს მხრიდან. დასახელებული კონსტიტუციური ნორმების მსგავსი დებულებები ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7, მე-8 და მე-10 მუხლებში,²⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტში²¹ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში.²²

სწორედ ზემოთ მითითებული კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმები აღჭურავენ სასამართლოსადმი მიმართვის თანაბარი უფლებით როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის წესთან მიმართებით. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხეს, როგორც მოსარჩელის თანასწორუფლებიან მხარეს, სამოქალაქო პრო-

ცესში უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შემთხვევაში გარანტირებული უნდა ჰქონდეს თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, ანუ თუკი მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის დაუსაბუთებელი ღონისძიების წინააღმდეგ დაცვის შესაძლებლობა არ ექნება, ის მოსარჩელესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, შესაბამისად, ზიანი მიადგება ჯერ კიდევ დავის საგანზე მოსარჩელის უფლების სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებამდე, რამეთუ მოპასუხის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შეზღუდვების დაწესებას და ამით, ზიანის მიყენების შესაძლებლობას. სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის შემოღებით კანონმდებელი მართალია უფლების ლეგიტიმურად შეზღუდვას ისახავს მიზნად, მაგრამ ეს გარემოება თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა ყოველთვის გამართლებულია. შეზღუდვა უნდა პასუხობდეს თანაზომადობის სტანდარტებს.²³

შემხვედრი უზრუნველყოფის ფაქულტატიური ხასიათი

სარჩელის უზრუნველყოფის სტადიაზე შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენება აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ სტადიაზე ჯერ არ არის გარკვეული საქმის პერსპექტივა და არ არის ცნობილი, ნამდვილად დასაბუთებულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა.²⁴ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა სასამართლოს არავალდებულება, არამედ უფლებაა.²⁵ უზრუნვე-

მიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება – სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები, (2017). ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. <<https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/konvenciis-me6-muxli.pdf>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

19 ლილუაშვილი, თ., ლილუაშვილი, გ., ხრუსტალი, ვ., ძლიერიშვილი, ზ., (2014). სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი. თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 60.
 20 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (10/12/1948), გაეროს გენერალური ასამბლეა.
 21 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (16/12/1966), გაეროს გენერალური ასამბლეა.
 22 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (4/11/1950), ევროპის საბჭო, რომი.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48.
 24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: Nას-1135-1082-2013.
 25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: Nას-958-923-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო

ლყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება, ასევე, გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.²⁶

აღნიშნული უფლება სასამართლოს მიერ გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად.²⁷ თუ სასამართლო არ გამოიყენებს ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაშინ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის წარდგენა მოპასუხეს შეუძლია.²⁸ ორივე შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსარჩელე ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.²⁹ ამრიგად, ზარალის ანაზღაურება (ანაზღაურების უზრუნველყოფა) შეიძლება განხორციელდეს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, ისე მის შემდეგაც.³⁰

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. შესაბამისად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის ან 363³⁰-ე მუხლის მეორე ნაწილის³¹ შესაბამისად გააუქმა სარჩელის აღძვრამდე

საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე: *ნას-832-884-2011*.

- 26 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 199, პირველი ნაწილი.
- 27 ქურდაძე, შ., ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 352.
- 28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე: *ნას-759-718-2015*.
- 29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინება საქმეზე: *ნას-450-422-2017*.
- 30 ქურდაძე, შ., ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 351.
- 31 სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევა.

მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მოპასუხეს უფლება აქვს მოსარჩელისაგან მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება (199-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსაგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.³² სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.³³ უფრო მართებული იქნება, თუკი სასამართლოს თავისი ინიციატივით საერთოდ არ ექნება შემხვედრი უზრუნველყოფის განხორციელების ვალდებულების მოსარჩელისათვის დაკისრების უფლება. საქმე ის არის, რომ მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ფაქტობრივად არის „იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება აღძრას მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომლის სარჩელის უზრუნველყოფის გამო მას მიადგა ზიანი“.³⁴ აღძრავს თუ არა სარჩელს და მოითხოვს თუ არა ზარალის ან ზიანის ანაზღაურებას, მთლიანად მომავალ მოსარჩელეზეა დამოკიდებული. მაშასადამე, სასამართლოს ინიციატივით შემხვედრი უზრუნველყოფის დანესების შესაძლებლობა, ეწინააღმდეგება დისპოზიციურობის პრინციპს. კვლევას მოითხოვს ის საკითხიც, მოპასუხე ვალდებულია თუ არა ამტკიცოს, თუ რა სავარაუდო ზარალი შეიძლება მიადგეს უზრუნველყოფის გატარებით. ამ საკითხს კანონმდებელი გვერდს უვლის. იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფა ეფუძნება სავარაუდო ფაქტებს და იმდენად, რამდენადაც საუბარია

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება საქმეზე: *ნას-956-921-2016*.

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე: *ნას-832-884-2011*.

34 ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 355.

მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფაზე, ამგვარი სავარაუდო ზარალის უზრუნველყოფის მოთხოვნის ეტაპზე, მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს არ უნდა დაეკისროს ჯერ არარსებული ზარალის მტკიცების ტვირთი. რეალურად დამდგარი ზარალის მტკიცება სამომავლოდ უნდა განხორციელდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე კი ზარალის მტკიცება მოპასუხის დისპოზიციური უფლებაა.³⁵

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს არ არის სავალდებულო სსსკ 57-ე მუხლის შესაბამისად მეორე მხარის მიერ თავისი მოთხოვნის ფულადი თანხით ან ფასიანი ქალაქით უზრუნველყოფა.³⁶ ნორმაში მითითებული უზრუნველყოფის ამ სახით განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, თუკი სასამართლო, სსსკ 199-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევს მეორე მხარისაგან უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას.³⁷

შემხვედრი/შეგებებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისას გასათვალისწინებელია ზოგიერთი საკითხი, რომელთაც აქვთ როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა და რომელთა შესახებაც საუბარია ქვემოთ.

საპროცესო შიკანის საფრთხე შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმში

უწინარეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია მოსარჩელის მიერ მატერიალური და საპროცესო უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენების პრობლემა. როგორც გერმანულ დოქტრინაშია აღნიშნული, პროცესში არაკეთილსინდისიერებას, ანუ სარჩელისა და ნებისმიერი სხვა საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს უფლებით აღჭურვილი პირის მიერ დასახული მიზნების კანონით მინიჭებული უფლების მიზნებთან (რომლებიც სამოქალაქო პროცესის მიზნებს შეესაბამება) შეუსაბამობის შემთხვევაში.³⁸ იგივე აზრია გატარებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც.³⁹ შედარებისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც არ მოიპოვება საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების დამდგენი ზოგადი ნორმა, რის გამოც გერმანულ დოქტრინაში გვხვდება აზრი, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი⁴⁰ (რომლის ანალოგიურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი⁴¹) გერმანიის საპროცესო სამართალში ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.⁴² კეთილსინდისიერად

35 აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არასწორად განმარტავს: „ზიანის დადგომის ალბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება“ – იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე: Nას-832-884-2011.

36 ქურდაძე, შ., ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 351.

37 იქვე.

38 Baumgärtel, G., Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP. 1956, გვ. 101; Konzen, H., Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Studien zur Wechselwirkung von Zivil – und Prozeßrecht bei der Bewertung und den Rechtsfolgen prozeßerheblichen Parteiverhaltens. Berlin: Duncker&Humblot, 1976, გვ. 270.

39 საყვარელიძე, კ., (2021). მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში. დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.

40 Bürgerliches Gesetzbuch (BGB). German Federal Law gazette. <<http://www.gesetze-im-internet.de/bgb/BJNR001950896.html>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

41 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (26/06/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

42 Stickebrock, B., (2002). Inhalt und Grenzen richterli-

მოქმედების პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია. მართალია, იგი საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ ნახსენები არ არის, მაგრამ კონსტიტუციის 34-ე მუხლი ფაქტობრივად მას განამტკიცებს.⁴³ აღნიშნული პრინციპი, თავისი უნივერსალური ხასიათის გამო, საფუძვლად უდევს მთელს მართლწესრიგს, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო სამართალს. შესაბამისად, ის სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპია და მაშასადამე, დაუშვებელია დარგთაშორისი ანალოგიის წესებით მისი გამოყენება, რამეთუ სამოქალაქო პროცესისთვისაც დამახასიათებელია ეს პრინციპი.⁴⁴ გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების ბოტორად გამოყენების ცხადი ნიშანია ზიანის მიყენების განზრახვა (საპროცესო შიკანისთვის დამახასიათებელი ნიშანი), აგრეთვე უფლების უმიზნოდ, ფუჭად, ან უღირსი მიზნების მისაღწევად განხორციელება.⁴⁵ სხვისთვის ზიანის მიყენების მიზნით აღძრული სარჩელები გერმანულ დოქტრინაში საპროცესო შიკანის აშკარა გამოვლინებად მიიჩნევა.⁴⁶

შემხვედრი უზრუნველყოფის განხორციელების საკითხის კეთილსინდისიერების პრინციპის პრიზმაში განხილვისას აუცილებელია მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება.⁴⁷ შემხვედრი უზრუნველყოფის სახით მოსარჩელისათვის მოთხოვნილი თანხა

chen Ermessens im Zivilprozess. Köln: O.Schmidt, გვ. 280; Paulus, C., (2016). Zivilprozessrecht, Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europaisches Zivilprozessrecht, 6. Auflage. Berlin: Springer, გვ. 130.

43 ხუნაშვილი, ნ., (2016). კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში. თბილისი: გამომცემლობა „ბონა კაუზა“, გვ. 43.

44 Baumgärtel, G., Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZJP. 1956, გვ. 181.

45 Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 9.07.2007, II 95/06. <<https://openjur.de/u/77182.html>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

46 Zeiss, W., Schadensersatzpflichten aus prozessualen Verhalten, NJW, 1967, გვ. 708.

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე: Nას-28-25-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე: Nას-929-879-2015.

შესაძლოა უმნიშვნელო იყოს ამ სუბიექტისათვის მისი აქტივების გათვალისწინებით, ხოლო მაგალითად ფულად სახსრებზე ყადაღის ფორმით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლოა უკიდურესად შემზღუდავი იყოს მეორე სუბიექტისათვის (მოპასუხისათვის), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი მენარმეა/სამეურნეო სუბიექტია. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებამ შესაძლოა მოპასუხის სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივი პარალიზება გამოიწვიოს. ზოგჯერ, მოსარჩელის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მაგალითად, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვების მიზნით, ისეთი მოპასუხის აქტივების დაყადაღებით, რომელსაც მცირე წილი აქვს ბაზარზე. საინტერესოა შემდეგი საკითხი: ეკისრება თუ არა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უპირობოდ გამოყენების ვალდებულება, თუკი მოსარჩელე წარმოადგენს შეგებებულ უზრუნველყოფას? ამ შეკითხვაზე პირდაპირ პასუხს კანონი არ იძლევა.

სსსკ-ის 199-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესი შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის დადგენა შეიძლებოდეს მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით ან მოპასუხის შუამდგომლობით. სინამდვილეში კი, არ გამოირიცხება მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენა. ე.ი. მოსარჩელეს შეუძლია არ დაელოდოს სასამართლოს, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მოსარჩელეს თავისი ინიციატივით მოსთხოვოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა (შეგებებული უზრუნველყოფა). აღნიშნული დასკვნის გამოტანა კანონის გონივრული განმარტებიდან გამომდინარეობს. პრაქტიკაში მოსარჩელები ამას არ ახდენენ, ვინაიდან არ გააჩნიათ უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენის ინტერესი, რამეთუ სასამართლოები ამის გარეშეც უზრუნველყოფენ სარჩელს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებისა და სასამართლო პრაქტიკის⁴⁸ ანალიზის საფუძველზე, შეი-

48 სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის ესმება ხაზი

ძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუნდაც სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელმა შეგებებული უზრუნველყოფა თავისი ინიციატივით წინასწარ (თავიდანვე) წარადგინოს.

შეგებებული უზრუნველყოფის წარდგენის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ ევალება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება,⁴⁹ რაც ქართული კანონმდებლობის მიერ საკითხის პროგრესული გადაწყვეტაა. საქმე ის არის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, როდესაც მოსარჩელე მიზნად ისახავს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, მის სამეურნეო საქმიანობას (თუნდაც უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შუამდგომლობასთან ერთად წარადგინოს შემხვედრი უზრუნველყოფა), პრაქტიკულად არავითარი ზიანი არ ადგება, ხოლო თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის უპირობოდ გამოსაყენებლად საკმარისი იქნებოდა შემხვედრი უზრუნველყოფის წინასწარ დადგენა, სასამართლო იძულებული იქნებოდა სიტყვასიტყვით და უპირობოდ გამოეყენებინა კანონი, რითაც კეთილსინდისიერი მოპასუხე ფაქტობრივად შესაძლოა გაკოტრების ზღვარზე დამდგარიყო. ზემოაღნიშნულის მსგავსი ვალდებულების არარსებობის პირობებში, ქართული კანონმდებლობა სასამართლოს მეტ თავისუფლებას ანიჭებს და მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია შემხვედრი უზრუნველყოფა, არ ზღუდავს უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი გადაწყვეტოს კეთილსინდისიერებისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების პრინციპის საფუძველზე.

ზარალისა და ზიანის კატეგორიების ურთიერთმიმართების საკითხისათვის

შემხვედრი უზრუნველყოფის არსის სწორი გაგების საწყისი ზარალისა და ზიანის კატეგორიების ურთიერთგამიჯვნაში უნდა ვეძიოთ. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიათა გამიჯვნა შესაძლებლობას იძლევა სწორად განისაზღვროს მოსლოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ფარგლები (მოცულობა) და კრიტერიუმი. კანონში საუბარია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე და არა ზარალის თუ ზიანის წინასწარ ანაზღაურებაზე, რამეთუ უნდა ანაზღაურდეს თუ არა ზიანი, საქმის შედეგზე დამოკიდებული. შესაბამისად, მოსარჩელისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოპასუხეს იმ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აქვს, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.⁵⁰ ასეთი მოთხოვნის უფლება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაშიც წარმოიშობა: მოპასუხეს უფლება ექნება მოითხოვოს სარჩელის იმ ნაწილის თანაზომადი ზიანის ანაზღაურება, რომელიც არ დააკმაყოფილა სასამართლომ. თუ მოპასუხე მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფას მოითხოვს თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელიც არ არის ძალაში შესული, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის წესით და გამოიხატოს მინიმუმ იმ ხარჯებში, რომლებიც ეკისრება მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ.

როგორც აღინიშნა, საპროცესო კოდექსი ადგენს მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის და არა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ვინაიდან წინასწარ შეუძლებელია მიყენებული ზიანის მოცულობის განსაზღვრა. ამგვარი ზიანის განსაზღვრა, შეუძლებელთან ერთად, არამართე-

იმას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ზღუდავს მოპასუხის უფლებებს, რის გამოც საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული მოპასუხისათვის ზარალის მიყენება.

49 მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას – ქურდაძე, შ., ხუნაშვილი ნ., (2015). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 344.

50 ლილუაშვილი, თ., ხრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 355.

ბულიც იქნება, რამეთუ დამდგარ ზიანთან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნობრივი კავშირის განსაზღვრა რელევანტური შეიძლება იყოს მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობის შემთხვევაში, რაც სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფაში ან უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაში გამოიხატება. ასეთი შედეგი კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და მასადაამე, მას შემდეგ უნდა განისაზღვროს, რაც საქმე საბოლოოდ დამთავრდება. ამიტომ დაუშვებელია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ოდენობა და კრიტერიუმი, საქმის მიმდინარეობის პროცესში, მიყენებული ზიანის ანაზღაურების სტანდარტით გავზომოთ.

შემთხვევითი არ არის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საუბარია მოსალოდნელი ზარალის (და არა ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოტანილი იქნეს დასკვნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების დაკისრება და დასაკისრებელი ანაზღაურების მოცულობა მხოლოდ სასამართლოს დისკრეციამა და მოკიდებული.

ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი იძლევა. მასში არ არის და არც უნდა იყოს ასახული სპეციალური ნორმა (ნორმები), მოპასუხისთვის მიყენებული ზიანის ხასიათის და ზიანის ანაზღაურების ფარგლების/მოცულობის განსაზღვრის შესახებ. ზიანის ხასიათი და მოცულობა/ოდენობა წინასწარ ვერ დამტკიცდება.⁵¹ მისი დამტკიცება შესაბამისი საერთო წესით უნდა განხორციელდეს საქმის დამთავრების შემდეგ და არა სარჩელის უზრუნველყოფის სტადიაზე,

ან შებრუნებული, შემხვედრი უზრუნველყოფის მოთხოვნის სტადიაზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისა და მისი მოსარჩელისათვის დაკისრებისას არ იქნება მართებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლთან სისტემურ კავშირში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე – 415-ე მუხლების გამოყენება.

სსსკ-ის 199-ე მუხლის შინაარსის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ იგულისხმება უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა სსსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში.

ამავდროულად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების მოქმედებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი საქმის შეწყვეტის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას განაპირობებს მოსარჩელის მიერ არამართლობიერად გამოვლენილი ნება, სარჩელის უსაფუძვლოდ აღძვრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ზარალს და არა ზიანს, რომელთაც ხშირად არ მიჯნავენ ერთიმეორისაგან, ზარალში არ იგულისხმება უფლების დროებით შეზღუდვით გამოწვეული ზარალი, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულება თავისთავად უფლების დროებითი შეზღუდვაა.⁵² მოსალოდნელ ზარალში იგულისხმება სავარაუდო ფაქტობრივი ხარჯები (ადვოკატის ხარჯი, საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები) და არა მიუღებელი შემოსავალიც, როგორც ეს იგულისხმება ზიანის ცნებაში. ზიანის ცნება მოიცავს როგორც ფაქტობრივ დანაკარგს, ისე მიუღებელ შემოსავალს (შემოსავლის დაკარგვას). შესაბამისად, ზი-

51 მაგალითისათვის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, მასვე ეკისრება დამდგარი ზიანის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი – ლილუაშვილი, თ., სრუსტალი, ვ., (2007). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი (მეორე გამოცემა). თბილისი: გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 355.

52 თითბერიძე, გ., (2017). საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი. თბილისი: გამომცემლობა – სს „ბუქდვითი სიტყვის კომბინატი“, გვ. 81.

ანი უფრო ფართო ცნებაა და შემთხვევითი არ არის, რომ საპროცესო კანონმდებლობა აქცენტს აკეთებს ზარალის და თანაც, მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის კატეგორიაზე. ამიტომ, როდესაც დადებითად წყდება მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის საკითხი, დაუშვებელია ზარალის ცნებისათვის ზიანის შინაარსის მიცემა და ისეთი გარანტიის მოთხოვნა მოსარჩელისათვის, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება მას და შეუძლებელს გახდის გარანტიის წარდგენას მოსარჩელის მიერ, რამეთუ ასეთ შემთხვევაში გაუქმებული იქნება უზრუნველყოფის ღონისძიება, რითიც ის დაკარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

თავის მხრივ, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრის ეტაპზე მოპასუხის ინტერესების სრულ დაკმაყოფილებაზე⁵³ გავლენას ვერ მოახდენს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ფარგლები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოპასუხეს აუნაზღაურდება სრული ზიანი, ის ზიანი, რომლის დადგომასაც დაამტკიცებს და არა მხოლოდ ის ზარალი, რომლის ანაზღაურებაც იყო მანამდე უზრუნველყოფილი.

ზარალის ცნება რომ ზიანის ცნების ტოლფასი არ არის, შემდეგი ასპექტიდანაც ვლინდება: სარჩელის უზრუნველყოფა მიიღება სასამართლოს განჩინებით.⁵⁴ მხარეები ერთმანეთთან საპროცესო ურთიერთობაში არ იმყოფებიან. უფრო რომ დავაზუსტოთ, საპროცესო ურთიერთობა არ წარმოიშობა მხარეებს შორის. მხარეები ერთმანეთთან მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში იმყოფებიან. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ადასტურებს საპროცესო ურთიერთობის წარმოშობას მოსარჩელესა და სასამართლოს შორის. მაშასადამე, სასამართლო განჩინების მიღება ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოშობს მოპასუხის ზიანს, რომელიც მოსარჩელის მიერ მიყენებულად შეიძლება ჩაითვალოს, რამეთუ მხარეები ასეთ დროს ერთმანეთთან საპროცესო ურთიერთობაში არ იმყოფებიან.

53 რაშიც იგულისხმება ზიანის სრული ანაზღაურება.
 54 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (14/11/1997), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 194.

მატერიალურ სამართალში ზიანი შეიძლება წარმოშვას ხელშეკრულების დარღვევამ ან დელიქტმა.⁵⁵ ნებისმიერ შემთხვევაში ზიანი მოვალის მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს. სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების სახით სასამართლო აქტის მიღება კი, არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ზიანის მიყენებად.

საერთაშორისო პრაქტიკა

მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მექანიზმს ეხება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 945-ე პარაგრაფი.⁵⁶ მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, წინამდებარე პარაგრაფი მოიცავს ზარალის ანაზღაურების ისეთ შემთხვევებს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დაუსაბუთებელი აღმოჩნდება ან მომავალში გაუქმდება. გერმანიის უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში განმარტავს, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისას საპროცესო კოდექსის 945-ე პარაგრაფი წარმოშობს სწორედ რისკთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას იმ პირისათვის, ვინც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.⁵⁷ გერმანული სასამართლო პრაქტიკა მოსალოდნელი ზარალს არ აიგივებს უკვე დამდგარი ზიანთან, ვინაიდან, უზენაესი სასამართლოს განსაზღვრებით, ზიანის დადგომა სამართალდარღვევის შედეგია, რა დროსაც სახეზეა პირის ბრალეულობა, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების სტადიაზე კი, ბრალეულობის დამტკიცება გამართლებული ვერ იქნება.⁵⁸ აღნიშნული კა-

55 ჭანტურია, ლ., (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. ჭანტურია, ლ., (რედაქტორი), თბილისი, გვ. 43.
 56 Zivilprozessordnung (ZPO). German Federal Law gazette. <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_zpo/englisch_zpo.html> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].
 57 Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 13.10.2016 – IX ZR 149/15. <<https://openjur.de/u/2110901.html>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].
 58 Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 21.12.2005 – X ZR 72/04. <<https://openjur.de/u/81501.html>>

ნონის დებულება ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი პირისაგან მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის რისკის აღების ვალდებულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნმა უნდა უზრუნველყოს იმ ქმედებების რისკი, რომელიც შემდგომში შესაძლოა გაუმართლებელი აღმოჩნდეს.⁵⁹

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოსარჩელისათვის დასაკისრებლად საკმარისია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებამ შესაძლოა/სავარაუდოა მოპასუხეს მიაყენოს ზარალი⁶⁰ (რა დროსაც მოპასუხემ თავისი უფლება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს), აღნიშნული არ ეხება იმ სამომავლო ზიანის მტკიცების ტვირთს, რომელსაც შემდგომში გამოიწვევს აგვარი ღონისძიება. ამ საკითხთან მიმართებით, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა აქცენტს აკეთებს უკვე დამდგარ ზიანზე და განმარტავს, რომ მოვალეს, რომლის მიმართაც იქნა მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეუძლია გამოიყენოს აღსრულების ზომების პროპორციული ღონისძიება.⁶¹ მას შეუძლია აღმასრულებელ მოსამართლეს წარუდგინოს მოთხოვნა რათა მოსარჩელეს დაეკისროს მისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაუმართლებელი დამცავი ღონისძიებით მოპასუხეს მიადგება ზიანი, მოსარჩელეს დაევალება აღნიშნული ზიანის გამოსწორება.⁶²

ინგლისის სამართლის მიხედვით, როდესაც მიიღება დროებითი ბრძანება⁶³ (სა-

რჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება), პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს, მოეთხოვება კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებაც, თუ მოგვიანებით სასამართლო დაადგენს, რომ ღონისძიება არასწორად გაიცა და ამით მოპასუხე დაზარალდა.⁶⁴ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო განმარტავს, რომ კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას უკვე დამდგარ ზიანსა და გაუმართლებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას შორის.⁶⁵ განსხვავებით საქართველოსა თუ გერმანიის საპროცესო კოდექსისგან, როგორც ინგლისის სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსალოდნელ ზარალში უკვე დამდგარი ზიანი იგულისხმება, რასაც სასამართლო თავის შეხედულებით წყვეტს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. ინგლისის სამართალში ზემოაღნიშნული კომპენსაციის წესი უფრო პრევენციულ ხასიათს ატარებს, რათა მოსარჩელემ არ აღძრას გაუმართლებელი სარჩელი, ან ბოროტად არ გამოიყენოს დროებითი ბრძანება მოპასუხის წინააღმდეგ.

დასკვნა/რეკომენდაცია

კვლევის შედეგად შესაძლებელია გამოტანილი იქნეს შემდეგი დასკვნები: სსსკ-ის 199-ე მუხლის დანაწესს თვითმყოფადი, დამოუკიდებელი ხასიათი და საპროცესო მნიშვნელობა აქვს, რომელზეც გავლენას არ ახდენს მატერიალური სამოქალაქო სამართალი. უზრუნველსაყოფი მოსალოდნელი ზარალის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. მატერიალური ნორმების ამოქმედება შესაძლებელია მარტოოდენ მიყენებული ზიანის საერთო წესით ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ანუ თუკი ზიანის მიყენების ფაქტთან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებ-

[05.12.2023].

59 Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 02.11.1995 – IX ZR 141/94. <<https://openjur.de/u/2110901.ppdf>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

60 Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 10.07.2014 – I 249/12. <<https://openjur.de/u/754168.html>> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

61 2e Chambre civile 15 mai 2014, pourvoi n°13-16016, BICC n°809 du 15 octobre 2014 et Legiftance.

62 2e Chambre civile 29 janvier 2004, BICC n°596 du 15 avril 2004.

63 Practise Direction 25A – Interim Injunctions, Para. 5.1. <<https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/>

[civil/rules/part25/pd_part25a](https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25a)> [ბოლო ნახვა: 05.12.2023].

64 Hunt v Ubhi [2023]. EWCA Civ 417.

65 SCF Tankers Ltd v Privalov & ors [2018]. 1 WLR 5623.

ლობის ან სარჩელის უსაფუძვლობის მიზეზობრივი კავშირი დადგინდება.

მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რამაც, ერთი მხრივ, გაუმართლებლად მძიმე ტვირთი არ უნდა დააკისროს მოსარჩელეს, რისი საფრთხეც არის სწორედ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელი ზარალის გაიგივება ხდება მატერიალურ-სამართლებრივ ზიანთან. მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს მოპასუხის დაცვა და გაუმართლებელი სარჩელით ან მისი უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზიანის პრევენცია.

შეგებებული უზრუნველყოფის გამოყენება დასაშვებია როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე მოპასუხის შუამდგომლობითა და მოსარჩელის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენით. ამასთან, საპროცესო შიკანის საფრთხის პრევენციის აუცილებლობიდან გამომდინარე, სასამართლომ ყოველთვის როდი უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის მიერ შემხვედრი უზრუნველყოფის წინასწარ შეთავაზებისას.

